# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 18 მაისი. 2022 წ. №62 (9400) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი


# „გენერალური“ მძარცველი!

იხ. 2 გვ.



## ქართული ტელე- ჟურნალისტიკის ავთვისებიანი სიმსივნე

3

3

## ქიბარ ხალვაში: ახალ სარჩელს წარვადგენ სასამართლოში!

## გვარამიას და ამ ვაიპოლიტიკოსებს ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიათ!

4

# ომის შედეგები განსაზღვრავს მთელი მსოფლიოს მომავალს!

**ირაკლი ღარიბაშვილი ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს და ევროპარლამენტის პრეზიდენტს რობერტა მეცოლას შეხვდა**



**შეხვედრისას მხარეებმა ვრცლად ისაუბრეს საქართველოს განაცხადის განხილვის პროცესზე, მათ შორის, ევროკომისიის კითხვარზე, რომლის ორივე ნაწილი საქართველომ ვადაზე ადრე შეავსო, აგრეთვე საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულებისა და დემოკრატიული რეფორმების განხორციელების კუთხით მიღწეულ პროგრესზე.**

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა საქართველოს ისტორიული არჩევანი, დაუბრუნდეს ევროპულ ოჯახს და ამ კონტექსტში ხაზი გაუსვა ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე ევროკომისიის მოსაზრებისა და ევროპული საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მნიშვნელობას.

* * *

**ევროპარლამენტის პრეზიდენტ რობერტა მეცოლასთან შეხვედრაზე მთავარი განსახილველი თემა იყო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების პერსპექტივები. პრემიერის თქმით, ქვეყანა აფასებს ევროპარლამენტისა და ევროკავშირის ინსტიტუტების ურყევ მხარდაჭერას ევროპული ინტეგრაციის გზაზე, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის ისეთ მნიშვნელოვან დროს, როდესაც ქვეყანა ევროკომისიის შეფასების და საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მოლოდინშია.**

შეხვედრაზე აღინიშნა რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება. პრემიერმა კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს სოლიდარობა უკრაინელების მიმართ, ასევე აღინიშნა, რომ ამ დროისთვის უკრაინელი ხალხის დასახმარებლად საქართველოდან საჰაერო და სახმელეთო გზებით უკრაინაში 500 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნა.



## მრავლისმომცველი და ფასეული მეცნიერული მიგნების გზით

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პირველი ქართველი მოსამართლე მინდია უგრეხელიძე 80 წლისაა**

იხ. 5 გვ.

## თუ დაიკარგება ოჯახის უწმინდესი ღირებულება, მაშინ ჩვენი ერიც ვეღარ იარსებებს და გადაშენდება

5



# მსოფლიოს გლობალურმა ინტერესებმა სისხლისმიერი ძმები ძმათამკვლელ ომში ჩაითრია

SOS!



**სამშვიდობო გავსაც რომ მოეწეროს ხელი, იმდენად დიდია ორივე მხარის მიერ გამოვლენილი სისასტიკე, ტკივილი, სიძულვილი, დანაკარგი და გაუცხოება, ურთიერთობის აღდგენას თაობები დასჭირდება – ასეთია ომის ლოგიკა**

იხ. 6 გვ.

## „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადება





# „გენერალური“ მძარცველი!

**პირველ რიგში, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ არ ვგეგმავდით ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისთვის ფინანსური ზიანის მიყენების სასამართლო საქმის გარშემო რაიმე საგანგებო განცხადების გაკეთებას. კონკრეტულმა ადამიანებმა ჩაიდინეს კონკრეტული დანაშაული და მათ კანონის შესაბამისად შეეფარდათ სასჯელი სასამართლოს მხრიდან. მხოლოდ ის ფაქტი, რომ გვარამიაც და დამენიაც წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნები არიან და ამჟამად ოპოზიციურ პოლიტიკურ საქმიანობას აწარმოებენ, ვფიქრობთ, არ იძლევა საფუძველს, მედიის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში მათი მხილების ფაქტს პოლიტიკური განცხადებით გამოვეხმაუროთ.**

იმთავითვე აღვნიშნავთ, რომ გვარამიას და დამენიას მიმართ დამდგარ განაჩენზე არც ახლა ვგეგმავთ საუბარს. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მხოლოდ იმ ისტერიულ კამპანიაზე, რომელიც, ერთმნიშვნელოვნად, მართლმსაჯულების პოლიტიზების მცდელობად უნდა შეფასდეს.

ვიდრე ამ მცდელობას შევაფასებდეთ, მინდა გაგახსენოთ ციტატა 20-ზე მეტი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებიდან სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით: „როგორც სასამართლო პროცესის მიმდინარეობა, ასევე საბოლოოდ მიღებული შედეგი არ შეესაბამება სამართლიანი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნებს და კიდევ უფრო მყარს ხდის ჩვენს ეჭვებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელისუფლების უხეში ჩარევის შესახებ. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მიღებული გადაწყვეტილება აზიანებს საქართველოს სამომავლო დემოკრატიული განვითარების პერსპექტივას, ზღუდავს მედიის თავისუფლებასა და პლურალისტულ მედია გარემოს და საფრთხეს უქმნის ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს“.

ეს არის ციტატა სასამართლოს არა გუშინდელი განაჩენის, არამედ 2017 წლის გადაწყვეტილების შესახებ. მაშინაც, 5 წლის წინ, „ნაციონალური მოძრაობა“, მასთან დაკავშირებული ენჯეოები, მაშინდელი პრეზიდენტი, მაშინდელი სახალხო დამცველი და მათი უცხოელი ლობისტები აწარმოებდნენ ისტერიულ, სიცრუეზე და „ფეიკზე“ დაფუძნებულ კამპანიას „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით. ეს სიცრუე და „ფეიკი“ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2 წელიწადში ამხილა.

**მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში „რუსთავი 2“ სრულიად ყაჩაღურად, მთელი საზოგადოების თვალწინ მიიტაცა, ეს პარტია და მისი პარტნიორები თუ ლობისტები უტიფრად და ურცხვად ამტკიცებდნენ, რომ სასამართლომ ტელეკომპანია კანონიერ მფლობელს უსამართლოდ დაუბრუნა. ანალოგიური უტიფარი და ურცხვი კამპანიის მომსწრეა საზოგადოება, სამწუხაროდ, დღესაც. შეგახსენებთ, რომ ქრონოლოგიურად სწორედ „რუსთავი 2“-ის საქმეს უკავშირდება კამპანიის დაწყება ქართული მართლმსაჯულების წინააღმდეგაც, რომელიც საბჭოური პროპაგანდის მეთოდების გამოყენებით და იარლიყების „მიწებებით“ დღემდე წარმოებს.**

გუშინდელი სასამართლო განაჩენის დეტალებზე საერთოდ არ გვსურს საუბარი. ყურადღებას გავამახვილებთ საქმის მხოლოდ ერთ გარემოებაზე. ნაციონალური მოძრაობის ფსევდო-იურისტები განაჩენის „აბსურდულობას“ ამტკიცებენ იმ ფაქტზე მითითებით, რომ გვარამიას ტელეკომპანიის ძარცვა მის მაშინდელ მფლობელებთან შეთანხმებული ჰქონდა. ეს არის სრულიად უსუსური არგუმენტი — როდესაც ტელეკომპანიის უკანონო მფლობელები და გენერალური დირექტორი კანონიერი მფლობელისთვის დასაბრუნებელი ტელეკომპანიის ძარცვაზე თანხმდებიან, ეს გენერალურ დირექტორს პასუხისმგებლობისგან, ბუნებრივია, ვერ გაათავისუფლებს.

კიდევ ერთი ციტატა, ახლა უკვე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან სანდრო გირგვლიანის საქმეზე: „სასამართლო გაოგნებულია იმ შეთანხმებული ქმედებებით, რომლითაც ხელისუფლების სხვადასხვა შტოები მოქმედებდნენ, რათა ამ საშინელ მკვლელობის საქმეზე მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყო“.

**ეს ადამიანები უსამართლობის გარშემო კოორდინაციით ადრე ხელისუფლებაში ყოფნის დროს თუ გვაოგნებდნენ, ახლა ისინი ოპოზიციის რიგებიდან გვაოგნებენ. მართლაც გამაოგნებელია შეთანხმებული ქმედებები, რომლითაც ნაციონალური მოძრაობა და მისი სატელიტი პარტიები, მისივე კუთვნილი მედიასაშუალებები, ენჯეოები, სახალხო დამცველები და უცხოელი ლობისტები მოქმედებდნენ და მოქმედებენ, რათა არ აღსრულებულიყო მართლმსაჯულება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ რუსთავი 2-ის მიტაცების საქმეზე; რათა არ აღსრულდეს მართლმსაჯულება მიხეილ სააკაშვილის მიმართ სანდრო გირგვლიანის, ვალერი გელაშვილის, 7 ნოემბრის, ტელეკომპანია „იმედის“ და კორუფციის საქმეებზე; რათა არ აღსრულდეს მართლმსაჯულება ნიკა გვარამიას მიმართ „რუსთავი 2“-ის ძარცვის საქმეზე.**

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის ისტერიული კამპანიის ფონზე, სტრასბურგის სასამართლომ გამოიყენა დროებითი ზომა, რითაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის კანონიერი მფლობელის საკუთრებაში დაბრუნება 2 წლით შეჩერდა. ამ გადაწყვეტილებამ გვარამიას მისცა შესაძლებლობა, ტელეკომპანია კიდევ რამდენიმე მილიონით გაეძარცვა. ამით, რადიკალურმა ოპოზიციამ, მაშინდელმა პრეზიდენტმა, მაშინდელმა სახალხო დამცველმა, ენჯეოებმა და უცხოელმა ლობისტებმა სტრასბურგის სასამართლო უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს. თუმცა, სასამართლოსთვის დღემდე ბოდიში არავის მოუხდია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2019 წელს, სტრასბურგის სასამართლომ სრულად დაადასტურა ქართული სასამართლოს გადაწყვეტილების მართლზომიერება, რითაც მან ნაციონალური მოძრაობისა და მისი პარტნიორებისა და ლობისტების მიერ წარმოებული კამპანია გააშიშვლა და ისინი სიცრუეში ამხილა. თუმცა, ამის შემდეგ მათ ბოდიში არ მოუხდიათ უზენაესი სასამართლოს 9 მოსამართლისთვის, აგრეთვე პირველი და მეორე ინსტანციის 4 მოსამართლისთვის, რომლებსაც 2 წლის მანძილზე უმძიმეს შეურაცხყოფას აყენებდნენ. შეგახსენებთ, რომ გვარამიას მხრიდან მოსამართლე თამაზ უთმელიძის სამარცხვინო „ბულინგი“ სტრასბურგის სასამართლომ საგანგებოდ დაგმო.

**სამწუხაროდ, „ნაციონალურ მოძრაობას“, მის სატელიტებს, ენჯეოებს, მარგველაშვილს და უცხოელ ლობისტებს 2019 წელს ბოდიში არ მოუხდიათ არც ქართული საზოგადოებისთვის იმის გამო, რომ სრულიად ურცხვი, უტიფარ სიცრუეზე აგებული კამპანია აკადრეს.**

ახლა კი, ზუსტად იგივე ადამიანები აწარმოებენ ახალ ისტერიულ კამპანიას იმისათვის, რომ „რუსთავი 2“-ის კანონიერმა მფლობელმა კუთვნილი 7 მილიონი ვერც ახლა დაიბრუნოს. ეს კამპანია ერთმნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს, როგორც სასამართლოზე ზეწოლის მცდელობა, რომელიც პოლიტიკური მოტივით არის ნაკარნახევი. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ წინაა სასამართლო განხილვა სისხლის სამართლის საქმეზე აპელაციისა და კასაციის წესით, აგრეთვე სამოქალაქო დავა, რომლის საფუძველზეც ტელეკომპანია რუსთავი 2-მა უკანონოდ წართმეული 7 მილიონი უნდა დაიბრუნოს. ბუნებრივია, ნებისმიერ პოლიტიკურად მოტივირებულ ისტერიას და მოსამართლეების „ბულინგს“ მათ სამომავლო გადაწყვეტილებებზე გარკვეული გავლენის მოხდენა შეუძლია. შესაბამისად, ამ „ბულინგს“ სათანადო პასუხი უნდა გაეცეს.

ყველამ ძალიან კარგად იცის, რა მოვლენები ვითარდებოდა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გარშემო გასული წლების განმავლობაში. ტელეკომპანია ჯერ კანონიერ მფლობელს წაართვეს, შემდეგ კი, როცა მიხვდნენ, რომ სასამართლო მას უსათუოდ კანონიერ მფლობელს დაუბრუნებდა, გაძარცვეს და სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, კანონიერ მფლობელს გაძარცვული უკან „მიუგდეს“. ეს არის ფაქტი, რომლის სამართლებრივი წესით დადასტურება მხოლოდ მათთვის შეიძლება იყოს მიუღებელი, ვისაც ამ საქმის მიმართ მანკიერი სუბიექტური პოლიტიკური ინტერესი აქვს.

**ეს ადამიანები არიან ბაკურიანის ცნობილი შეხვედრის მონაწილეები, ახალი შულავერის კომიტეტი, „ომისა და ღალატის პარტია“, რომლისთვისაც უსამართლობა, ტელევიზიების მიტაცება და სასამართლოზე ზეწოლა მიღებული პრაქტიკაა. ნაციონალური მოძრაობა, მისი სატელიტი პარტიები, მისი კუთვნილი მედიასაშუალებები, ენჯეოები და უცხოელი ლობისტები ხმაშეწყობილად მოქმედებენ სამართლის უზენაესობის, მართლმსაჯულების, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მედიასაშუალებების წინააღმდეგ, რათა, სამომავლოდ, პოლიტიკური წარმატების თუნდაც თეორიული შანსი შეინარჩუნონ.**

**ჩვენ ამ ადამიანებს ვერც სამართლის აღსრულების შეჩერების, ვერც ტელეკომპანიების ძარცვისა და ვერც სასამართლოზე ზეწოლის უფლებას ვერ მივცემთ.**

**ბოლოს, უსათუოდ უნდა გამოვეხმაუროთ იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ ტოლობის ნიშანი დასვან გვარამიას არდასჯასა და საქართველოს ევროპულ პერსპექტივას შორის. მათ პასუხად, მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ევროკავშირი არ არის კორუფცია, ძარცვა და უსამართლობა, არამედ ევროკავშირი სწორედ სამართლის უზენაესობა და კორუფციისგან თავისუფალი საზოგადოებაა. შესაბამისად, სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“, ენჯეოები, გვარამია და მათი უცხოელი ლობისტები არიან, თავისი არსით, ანტიევროკავშირი.**

სამართლის უზენაესობის გარეშე კი, ჩვენ ევროპული ოჯახის წევრები ვერც ისე და ვერც ასე ვერ გავხდებით. შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის დასაცავად, რაც ერთ-ერთი უმთავრესი ევროპული ღირებულებაა, ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს.

## კახა კალაძე: ვერც პოლიტიკოსის და ვერც მედიაში მუშაობის სტატუსი კანონის მოქმედებას ვერ შეაჩერებს!



„ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის აღიარებით, აღნიშნულ შემთხვევაში, სახეზეა კონკრეტული დანაშაული, რომელსაც შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოჰყვა.

**„როდესაც სჩადიხარ დანაშაულს, ვერც პოლიტიკოსის და ვერც მედიაში მუშაობის სტატუსი, რა თქმა უნდა, ვერ შეაჩერებს სამართლებრივ მოქმედებებს დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. სახეზეა კონკრეტული დანაშაული, რასაც მოჰყვა შესაბამისი რეაგირება და ბატონ ნიკა გვარამიას მიესაჯა სასჯელი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი განცხადება მოგვისმენია მისგან ჩემი განადგურების მუქარით, ბევრი სიძულვილის ენა, რაც ამ ადამიანისგან მოდიოდა, არ მიხარია არავის დაჭერა და დაკავება. იყო კონკრეტული საქმე, ამას მოჰყვა შესაბამისი რეაგირება და მივიღეთ შედეგი“,** — ასე გამოეხმაურა დედაქალაქის მერი კახა კალაძე ტელეკომპანია „მთავარის“ გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას დაკავების ფაქტს. კახა კალაძის განმარტებით, ბრალდებულის მხრიდან კონკრეტული თანხების გაფლანგვის ფაქტი სტრასბურგის სასამართლოს მიერ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის კანონიერი მფლობელისთვის გადაცემის შეჩერების პერიოდში მოხდა. **„მაშინ, როდესაც სტრასბურგის სასამართლომ შეაჩერა ტელეკომპანიის გადაცემის საკითხი, ზუსტად მაგ პერიოდში მოხდა ამ თანხების გაფლანგვა და მითვისება. სამწუხაროდ, ასეა. ფაქტია ის, რომ როდესაც სტრასბურგის სასამართლომ შეუჩერა გადაცემის ფაქტი, ეს ბოროტად იქნა გამოყენებული. დამთხვევაა თუ რაც არის, ესაა რეალობა“,** — განაცხადა თბილისის მერმა.



# ქართული ტელე-ჟურნალისტიკის ავთვისებიანი სიმსივნე




## როგორ იხვეჭდა მილიონებს ნაძირალა, გაიძვერა იურისტი ნიკუშა გვარამია

„რუსთავი 2“-ის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდების მხარე სააპელაციო სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრებს. ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„**თბილისის** საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-სთვის 6 763 509 ლარის ზიანის მიყენების ფაქტზე, დამნაშავედ იქნა ცნობილი ტელეკომპანიის ყოფილი გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია. ამ ნაწილში, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, თუმცა არ დაეთანხმა ბრალდების მხარის შეფასებას ჩადენილი დანაშაულის სამართლებრივ კვალიფიკაციაში, რის გამოც ბრალდებულის ქმედება დაკვალიფიცირდა სამეწარმეო ორგანიზაციაში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად, სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით, ნაცვლად ამავე კოდექსის 182-ე მუხლისა. ამ ნაწილში, ნ.გვარამიას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით.

ასევე, ნიკა გვარამია დამნაშავედ იქნა ცნობილი, სამეწარმეო ორგანიზაციაში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით და საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნიკა გვარამია გამართლდა სხვა ყველა წარდგენილ ბრალდებაში.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ისთვის 6 763 509 ლარის ზიანის მიყენების ფაქტზე დამნაშავედ იქნა ცნობილი ტელეკომპანიის ყოფილი ფინანსური დირექტორი კახაბერ დამენია. ამ შემთხვევაშიც თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, თუმცა არ დაეთანხმა ბრალდების მხარის შეფასებას ჩადენილი დანაშაულის სამართლებრივ კვალიფიკაციაში, რის გამოც ბრალდებულის ქმედება დაკვალიფიცირდა სამეწარმეო ორგანიზაციაში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად, სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით, ნაცვლად ამავე კოდექსის 182-ე მუხლისა. კახაბერ დამენიას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 50 000 ლარი.

რაც შეეხება ზურაბ იაშვილს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ იგი სრულად გამართლდა წარდგენილ ბრალდებებში. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ნიკა გვარამიას ბრალი ედებოდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი დიდი ოდენობით ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვის, კომერციული მოსყიდვის, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და სამეწარმეო ორგანიზაციაში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტებზე.

კახაბერ დამენიას ბრალი ედებოდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი დიდი ოდენობით ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვის ფაქტზე.

ზურაბ იაშვილს ბრალი ედებოდა კომერციული მოსყიდვისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე.

წარდგენილი ბრალდების თანახმად, 2015 წლის 16 იანვარს, შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის სახელით ნიკა გვარამიამ ხელშეკრულება გააფორმა შპს „ინტერ მედია პლიუსთან“, რომლის თანახმადაც, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-მა შპს „ინტერ მედია პლიუსს“ დაუთმო საკუთარი არხების ეთერში კომერციული რეკლამის განთავსების უფლება.

2015 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, ნიკა გვარამია ტელეკომპანიის სარეკლამო დროის გასხვისების შედეგად მიღებული მთლიანი შემოსავლის 90-95%-ს ითხოვდა შპს „ინტერ მედია პლიუსისგან“, ხოლო დარჩენილ თანხას, მომსახურების გაწევის სანაცვლოდ უტოვებდა ამ უკანასკნელ საწარმოს.

მას შემდეგ, რაც 2015 წლის 5 აგვისტოს, ქიბარ ხალვაშმა „რუსთავი 2“-ის წილების დასაბრუნებლად სასამართლოში სამართლებრივი დავა დაიწყო, ნიკა გვარამიამ და კახაბერ დამენიამ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის ინტერესების აშკარა უგულებელყოფითა და მის საწინააღმდეგოდ, შპს „ინტერ მედია პლიუსისგან“ ყოველთვიურად მხოლოდ კომპანია შპს „სამაუწყებლო რუსთავი 2“-ის არსებობისთვის საჭირო მინიმალური ოდენობის თანხის მოთხოვნა დაიწყეს.

2015 წელს შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის სარეკლამო დროის რეალიზაციიდან შპს „ინტერ მედია პლიუსის“ მისაღებმა შემოსავალმა შეადგინა 48 014 847 ლარი, საიდანაც შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს გადაუხადა მხოლოდ 36 467 000 ლარი, რაც 2014 წელს ანალოგიურ მომსახურებაზე მიღებულ თანხებთან შედარებით 6 763 509 ლარით ნაკლები იყო. შედეგად, ნ.გვარამიამ და კ.დამენიამ, 2015 წლის მეორე ნახევარში, შპს „ინტერ მედია პლიუსისგან“ 6 763 509 ლარის მოთხოვნის უფლება მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგეს.

შპს „ინტერ მედია პლიუსის“ სასარგებლოდ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის კუთვნილი დიდი ოდენობით – 6 763 509 ლარის ქონებრივი უფლების გაფლანგვის სანაცვლოდ, ნიკა გვარამიამ, შპს „ინტერ მედია პლიუსის“ დირექტორის – ზურაბ იაშვილის მეშვეობით, ხსენებული კომპანიისაგან უკანონოდ მიიღო შესაბამისი სარგებელი – უძრავი ქონებების სახით, კერძოდ, ქ.თბილისი, მუხაძის ქუჩაზე მდებარე 2 საცხოვრებელი ბინა, საერთო ფართით – 238,74 კვ.მ.

ნიკა გვარამიამ შპს „ინტერ მედია პლიუსის“ უძრავი ქონებების უკანონოდ მიღების შემდეგ, განიზრახა დანაშაულებრივად მიღებული ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა. შედეგად, უძრავი ქონებების მის სახელზე რეგისტრაციიდან რამდენიმე თვეში, 2017 წლის ივლისში და სექტემბერში ორივე საცხოვრებელი ბინა, გაასხვისა სხვადასხვა პირებზე, რითაც მიიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 602 521 ლარის შემოსავალი.

გარდა აღნიშნულისა, 2019 წლის თებერვალში, ნ. გვარამიამ „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ (პორშეს ცენტრი) ხელმძღვანელებს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, შესთავაზა, რომ მათგან ძვირადღირებული ავტომობილის შეძენას განახორციელებდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში მათი სარეკლამო რგოლების განთავსების სანაცვლოდ, რაც მასთან დაკავშირებული სარეკლამო სააგენტო შპს „პროესკო მედიას“ მეშვეობით განხორციელდებოდა.

შეთანხმებისამებრ, 2019 წლის 27 თებერვალს, შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსსა“ და შპს „პროესკო მედიას“ შორის, გაფორმდა ავტომანქანა „Porche Macan S“-ის ნასყიდობის ხელშეკრულება ღირებულებით – 76 700 ევრო, რომლის საფუძველზეც ავტომანქანა ნიკა გვარამიასა და მისი ოჯახის ფაქტობრივ საკუთრებაში გადავიდა, ხოლო ფორმალურ მესაკუთრედ შპს „პროესკო მედია“ დაფიქსირდა.

მიუხედავად იმისა, რომ შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსი“ კეთილსინდისიერად ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სრულად უხდიდა შპს „პროესკო მედიას“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარეკლამო ღირებულებას, ეს უკანასკნელი, ნიკა გვარამიას დავალებით, არსებითად ამცირებდა ტელეკომპანია რუსთავი 2-სთვის გადასახდელ თანხებს, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგებოდა ტელეკომპანიას.

2019 წლის აპრილიდან ივლისამდე პერიოდში, ტელეკომპანიამ განიცადა დიდი ოდენობით ფინანსური ზიანი, სანაცვლოდ კი ნიკა გვარამიამ და მისმა ოჯახმა, ფაქტობრივ საკუთრებაში მიიღეს 232 201 ლარის ღირებულების ავტომობილი – „Porche Macan S“.

ბრალდების მხარე, სასამართლოს 16 მაისის გადაწყვეტილებას კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს“.

# ახალ სარჩელს წარვადგენ სასამართლოში!



ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ მფლობელი, ქიბარ ხალვაში, ნიკა გვარამიას საქმეზე, გამოტანილ განაჩენს ასე გამოეხმაურა.

## ქიბარ ხალვაში: დადასტურდა რომ ნიკა გვარამიამ „რუსთავი 2-ს“ განზრახ 6,7 მილიონი ლარის ფინანსური ზიანი მიაყენა

„მსურს გამოვეხმაურო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ტელეკომპანია „რუსთავი 2-ისთვის“ მრავალმილიონიანი ზიანის მიყენებასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეზე. ამ გადაწყვეტილებით დადასტურდა მარტივი სამართლებრივი ჭეშმარიტება, რომ კომპანია „ინტერმედიასთან“ გარიგების დადების გზით, „რუსთავი 2-ის“ ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა, ნიკა გვარამიამ, ტელეკომპანიის მაშინდელი არაკანონიერი მფლობელების თანხმობით, „რუსთავი 2-ს“ განზრახ 6,7 მილიონი ლარის ოდენობის ფინანსური ზიანი მიაყენა.

აღნიშნული ზიანი ახლაც მძიმე ტვირთად აწევს „რუსთავი 2-ს“, რომელიც ქართული და სტრასბურგის სასამართლოების გადაწყვეტილებებით, 2019 წელს კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა. „რუსთავი 2-ისთვის“ ზიანის მიყენების მოტივი გახლდათ ის გარემოება, რომ ტელეკომპანიის მაშინდელი არაკანონიერი მფლობელებისა და გენერალური დირექტორის საფუძვლიანი ვარაუდით, „რუსთავი 2“ კანონიერ მფლობელს უსათუოდ დამიბრუნდებოდა. მათ თავად იცოდნენ, რომ ტელეკომპანიის შენარჩუნების არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდათ, რაც საბოლოოდ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც დაადასტურა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ტელეკომპანიისთვის ზიანის მიყენება გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების აღსრულება დროებით შეაჩერა.

ეს ნიშნავს, რომ ნიკა გვარამიამ ბოროტად ისარგებლა სტრასბურგის სასამართლოს მიერ შეფარდებული დროებითი ზომით, მისი გამოყენებით ტელეკომპანიას დამატებით რამდენიმე მილიონი ლარის ოდენობის ზიანი მიაყენა, რაც სტრასბურგის სასამართლოს მიმართ უდიერი დამოკიდებულების მკაფიო გამოვლინებაა. მოვუწოდებ დამნაშავეებს, სრულად აანაზღაურონ ტელეკომპანიისთვის მიყენებული მრავალმილიონიანი ზიანი. ამ მიზნით, სისხლის სამართლის განაჩენის საფუძველზე, დაუყოვნებლივ წარვადგენ სამოქალაქო სარჩელს სასამართლოში“.



# გვარამიას და ამ ვაიპოლიტიკოსებს ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიათ!

**მმართველი პარტიის წარმომადგენლები გვარამიას განაჩენში პოლიტიკურ მდგენელს ვერ ხედავენ. ამასთან, მიიჩნევენ, რომ მომხდართან დაკავშირებით „ევროკავშირს არსებითი კითხვები არ გაუჩნდება“.**

პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის **მიხეილ სარჯველაძის** თქმით, მსგავს დანაშაულზე „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, შესაძლოა, „ციმბირი უკან მოეტოვებინათ“:

**„მე არ მგონია, რომ ამ შემთხვევაში არსებობს მიზეზი ვინმესთვის, რომ განაცხადოს და ისაუბროს პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით. პოლიტიკურად სენსიტიური არის იმიტომ, რომ ფაქტია, რომ ნიკა გვარამიას „მოღვაწეობა“ ბოლო ხანებში, ბოლო ხანებში არა, უკვე დიდი ხანია, თავისი შინაარსით არის არა ჟურნალისტური, არამედ პოლიტიკური აქტიურობა. შესაბამისადაც, ეს პოლიტიკურ სენსიტიურობას ამისას განაპირობებს, მაგრამ სენსიტიურობა არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს შეუძლია, ხელაღებით ისაუბროს, მოცემულ შემთხვევაში, პოლიტიკურ დევნაზე, იმიტომ რომ მოცემულ შემთხვევაში საკმაოდ კარგად და დამაჯერებლად არის ახსნილი ის, რომ სამართალდარღვევას ადგილი ჰქონდა, რომელიც სასამართლომ შეაფასა დანაშაულად“,** — განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

ჟურნალისტის კითხვაზე, „უჩენს თუ არა პოლიტიკური დევნის საფუძველზე ფიქრის საშუალებას ის, რომ სამი ოპოზიციურად განწყობილი მედიასაშუალების მიმართ არის დაწყებული სასამართლო დევნა“, სარჯველაძემ განაცხადა, რომ ყველა ამ არხის ხელმძღვანელები არიან ადამიანები, რომლებიც დაკავშირებული არიან „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებასთან „რომლის პერიოდშიც ამ სიმძიმის დანაშაულისთვის, ვიმეორებ, შეიძლება ციმბირი უკან მოეტოვებინათ“:

„ქართული ოცნების“ წევრი დეპუტატის **გურამ მაჭარაშვილის** განცხადებით, სამართლებრივი სახელმწიფოს გაგებას ეწინააღმდეგება დანაშაულისგან თავის არიდება საჯაროობის გამო:

**„ის, რომ შენ სამართალდარღვევა ჩაიდინო და გინდა, რომ შენ ამ პასუხისმგებლობას გაექცე იმიტომ, რომ ხარ საჯარო პოლიტიკოსი, საჯარო პირი, ზოგადად, მედიასაშუალების დამფუძნებელი თუ ხელმძღვანელი, ეს ეწინააღმდეგება სამართლებრივ სახელმწიფოს. კიდევ ერთხელ ვამბობ, ის, რომ საუბარი მათი მხრიდან შეიძლება, იყოს ე.წ. სამართლებრივ დევნაზე, უკვე არის მიუღებელი, მათ შორის ჩვენი პარტნიორებისთვისაც და საერთაშორისო ინსტიტუციებისთვისაც“.**

საპარლამენტო უმრავლესობის კიდევ ერთი წევრი **ბექა დავითულიანი** მიიჩნევს, რომ სარჩელი იყო ინიცირებული კერძო ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ ინტერესების დაზიანებაზე:

**„სასამართლომ მიიჩნია, რომ ნიკა გვარამიამ გადადგა ნაბიჯები „რუსთავი 2“-ის საწინააღმდეგოდ და გამოუტანა ის გადაწყვეტილება, რაც გამოიტანა. რა შეფასებებს აძლევენ პოლიტიკური ოპონენტები ამას, ეს სამართალთან მიმართებით მეორეხარისხოვანია. სარჩელი იყო ინიცირებული „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლის მიერ „რუსთავი 2“-ის ინტერესების დაზიანებაზე, რა შუაშია ხელისუფლება? ნიკა გვარამია რომ არ იქნება, „მთავარი არხი“ გაქრება თუ რა მოხდება?!“.**

დავითულიანი მიიჩნევს, რომ ევროკავშირს გვარამიასთვის გამოტანილი განაჩენის გამო კითხვები არ გაუჩნდება:

**„კითხვები ისმის შიგნით, ევროკავშირს და მის ოფიციალურ სტრუქტურებს, არ ვამბობ ცალკეულ წარმომადგენლებზე, ვამბობ, როგორც ოფიციალურ სტრუქტურაზე, ევროკავშირს არ მგონია არსებითი კითხვები გაუჩნდეს ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების გამო. სტრასბურგის სასამართლომდე მისასვლელი გზა არსებობს და ვნახოთ, რამდენად სამართლიანია თუ უსამართლო ქართული სასამართლოს მიერ გამოტანილი სარჩელი, რადგან „რუსთავი 2“- ის საქმეზე ზუსტად იგივე კითხვები იყო და ვნახეთ, რომ სტრასბურგის სასამართლომ სრულად გაიზიარა საქართველოს სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება“.**

რაც შეეხება პრეზიდენტის მხრიდან გვარამიას შესაძლო შეწყალებას, დავითულიანი აცხადებს, რომ ეს პრეზიდენტის დისკრეციაა, თუმცა, „ნიკა გვარამია თავად ამბობდა, რომ არ სჭირდება მისი შეწყალება და შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებდა“.

საპარლამენტო უმრავლესობის კიდე ერთი წევრი **ირაკლი ქადაგიშვილი** აცხადებს, რომ „სასამართლოს გადაწყვეტილება ეხება ეკონომიკურ და ფინანსურ დანაშაულს და არანაირი კავშირი არ აქვს მედიის საქმიანობასთან და სიტყვის და ჟურნალისტური გამოხატვის თავისუფლებასთან“.

**„სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილების სისწორე და კანონიერება, შედეგად „რუსთავი 2“ დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს და აქაც გამოირიცხა პოლიტიკური ნიშნით ქმედება. დღესაც დაახლოებით ანალოგიური სურათი გვაქვს, როცა კონკრეტული კომპანიიდან 7 მილიონი ლარის ამოღებას და სხვა კერძო კომპანიაში გადაქაჩვას ეხება საქმე და „რუსთავი 2“-ის ამ კუთხით დაზიანებას, ამასთან დაკავშირებით სასამართლო განხილვები ალბათ ზედა ინსტანციებში გაგრძელდება და დარწმუნებული ვარ, სასამართლო იხელმძღვანელებს კანონის და ობიექტური მოცემულობიდან გამომდინარე. ჩვენ უკვე ყველამ დავინახეთ, რომ სასამართლო ხელისუფლებაზე დაუსაბუთებელი და პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა მიმდინარეობს სწორედ მას შემდეგ რაც დაინახეს, რომ სასამართლო გამოვიდა სააკაშვილ- ადეიშვილის ზეგავლენიდან და დაიწყო დამოუკიდებელი და კანონიერი გადაწყვეტილებების მიღება. მელაძის და ჟორჟოლიანის სასარგებლოდ რომ მიიღო სასამართლომ ორიოდე კვირის წინ გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ არაკანონიერად იქნენ გათავისუფლებულნი, მაშინ არ იყო სასამართლო პოლიტიკურად მოტივირებული?!“,** — განაცხადა ქადაგიშვილმა.

„ოცნების“ წევრი დეპუტატი **ირაკლი ზარქუა** აცხადებს, რომ სასამართლომ ნიკა გვარამიას კონკრეტული მტკიცებულებების საფუძველზე მიუსაჯა:

**„პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ადამიანის დაკავება არასოდეს გამიხარდება, მაგრამ ნიკა გვარამიას კონკრეტული მტკიცებულებებიდან გამომდინარე მიესაჯა, როცა მან კომპანიას შვიდი მილიონი მოჰპარა, თუ გაფლანგა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ის არის დამნაშავე და ამის გამო მიუსაჯა. არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიცია, თუ გაკოტრებული პარტიის პოლიტიკოსები ზუსტად იგივე ტექსტებით საუბრობდნენ „რუსთავი 2“-ის საქმეზე, რომ სახელმწიფო ართმევდათ და ჩარეული იყო. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება ყველა ეტაპზე დაცული იყო. ამ განცხადების შემდეგ ყველა მიწყნარდა, მანამდე გაჰკიოდნენ. ახლა გვარამია ყველასთვის გახდა დემოკრატი, პატრიოტი, ამ ქვეყნის ერთგული, გადამრჩენელი და ა.შ. ეს მათი უფლებაა. თუ ვინმეს აქვს სასამართლოსგან განსხვავებული მტკიცებულება, აგერ არის საერთაშორისო პლატფორმა, სადაც კეთილი ინებონ და დაამტკიცონ. ამ ვაი-პოლიტიკოსებს, გაკოტრებულებს, თავისი ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიათ და შეუძლიათ, ქვეყანა ლაფში ამოსვარონ. ჰგონიათ, თუ ქვეყანას აგინებენ, ქულებს დაუწერენ. „რუსთავი 2“-ის თემები გადაახვიეთ და ნახავთ, რომ იგივე განცხადებები ჰქონდათ. ეს საქმე გაასაჩივრონ და ვნახოთ, რა იქნება — აგერ თქვენ, აგერ მე“.**

„ქართული ოცნების“ წევრი, დეპუტატი **ნინო წილოსანი** აცხადებს, რომ ნიკა გვარამიას დაპატიმრება საქართველოს ევროკავშირში გაწევრებას ხელს არ შეუშლის.

**„არაერთი საქმე ვიცით, მათ შორის, ევროკავშირის თუ დასავლური ქვეყნების შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკასთან ან მედიასთან დაკავშირებული პირები იხდიან სასჯელს, ამიტომ ერთი მეორეს არ უკავშირდება და როდესაც ეს ყველაფერი დაკარგავს, ანუ, თქვენგან მინიჭებულ რაღაც განსაკუთრებულ წონას პოლიტიკასთან ბმის თემაზე, კიდევ უფრო ნათლად გახდება ცნობილი, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას ეს ყველაფერი არ შეუშლის ხელს“,** — განაცხადა ნინო წილოსანმა.

სამოქალაქო სექტორის ნაწილი და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები მიიჩნევენ, რომ ნიკა გვარამიას საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ლაშა ჩხიკვაძემ „მთავარი არხის“ დირექტორ ნიკა გვარამიას 3 წლით და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.**

## დავით ქართველიშვილი: ქართული არასამთავრობოები პირდაპირ ახალისებდნენ გვარამიას, გაეგრძელებინა „რუსთავი 2“-ის ძარცვა!

**კრიმინალი** **გვარამიას დაპატიმრების შემდეგ დაეწყვნენ რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც არაფერი სცხიათ ობიექტურობის და აპრიორი ლანძღავენ და აკრიტიკებენ სასამართლოს გადაწყვეტილებას. შეგახსენებთ, რომ ეს ის ხალხია, რომლებიც სტრასბურგის სასამართლოს მიერ, აღსრულების შეჩერების დროს გაჰკიოდნენ, პოლიტიკური დევნააო, ამით წაახალისეს გვარამიას მიერ კომპანიის ძარცვა და მას შემდეგ, რაც სტრასბურგმა თქვა, ამ საქმეში ყველაფერი რიგზეაო, თავზე გადაახია მათ ყველა კრიტიკული განცხადება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ქართული არასამთავრობოები პირდაპირ ახალისებდნენ გვარამიას, გაეგრძელებინა „რუსთავი 2“ ძარცვა და სტრასბურგის გადაწყვეტილების შემდეგ ხმა არა ამოუღიათ. ამიტომ არიან ისინი პირდაპირი მონაწილეები ამ დანაშაულის, ხოლო ყველა მათი წუხილი ფარსი და ამორალურია.**

## ირაკლი ლატარია: გვარამია არის ნომერ პირველი მედიადამნაშავე!

**მედიის წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაული, ანუ მედიის მიტაცება (დადასტურებულია სტრასბურგის სასამართლოს მიერ), არ იკმარა გვარამიამ და შემდეგ მიტაცებულ მედიაში დაიწყო მაროდიორობა. ამიტომ „ნაცების მიერ „თავისუფალი სიტყვის ფლაგმანად“ გასაღებული გვარამია არის ნომერი პირველი მედიადამნაშავე, ნომერ პირველი ადამიანი, ვისაც კი ყველაზე ბევრი დაუშავებია საქართველოში მედიის მიმართ!**

## ზურაბ ქადაგიძე: „რუსთავი 2“-ის დირექტორის პოსტზე გვარამიას ხელფასი 100 000 ლარს შეადგენდა!

**მიუხედავად იმისა, რომ „რუსთავი 2“-ის დირექტორის პოსტზე ნიკა გვარამიას ყოველთვიური ხელფასი 100 000 ლარს შეადგენდა, მან, 2019 წლის თებერვალში, მეუღლესთან ერთად, პორშეს ცენტრიდან, თავისი ოჯახისთვის გამოიყვანა 232 000 ლარად ღირებული ბოლო მოდელის ავტომობილი „Porche Macan S“ რაშიც პირადი თანხიდან არც ერთი თეთრი არ გადაუხდია. გვარამია მანქანის საფასურს იხდიდა „რუსთავი 2“-დან. ტელეკომპანიაში განსათავსებელი სარეკლამო დროის ღირებულებიდან.**

**საინტერესოა, რომ ამ პერიოდისათვის, გარდა იმისა, რომ ნიკა გვარამიას 7 მილიონ ლარამდე უკვე გაფლანგული ჰქონდა ტელეკომპანიიდან, არც სახელმწიფო გადასახადებს არ იხდიდა. ამ გზით დაუგროვა „დირექტორმა“ ტელეკომპანიას სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება 24 მილიონი ლარი. სწორედ ამ დავალიანებით და ფაქტიურად გაკოტრებული ტელეკომპანია გადაეცა შიდა სასამართლოების და სტრასბურგის სასამართლოს მიერ, რუსთავი 2-ის ნამდვილ მესაკუთრეედ აღიარებულ ქიბარ ხალვაშს.**

## ანდრია გვიდიანი: გვარამიამ ბიუჯეტში არ გადაიხადა 24 მილიონი ლარის გადასახადები...

**ვინც დღეს ნიკა გვარამიას პოლიტპატიმრად მოიხსენიებს, მათ მინდა შევახსენო, რაში მდგომარეობს მისი დანაშაული მას შემდეგ, რაც 2015 წლის 5 აგვისტოს, ქიბარ ხალვაშმა „რუსთავი 2“-ის წილების დასაბრუნებლად სასამართლოში სამართლებრივი დავა დაიწყო, ნიკა გვარამიამ „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის ინტერესების საწინააღმდეგოდ, „რუსთავი 2“-ის გაკოტრება დაიწყო.**

**მაგრამ, მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდა ნიკა გვარამია და 2015 წლიდან ერთი თეთრი არ გადაუხდია სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მას შემდეგ რაც ქიბარ ხალვაშმა დავა დაიწყო ტელეკომპანიის წილებზე, გვარამიამ ბიუჯეტში არ გადაიხადა 24 მილიონი ლარის გადასახადები. ამის მიზანს კი წარმოადგენდა ის, რომ ტელეკომპანიის ნამდვილ მესაკუთრესთან დაბრუნების შემთხვევაში, ეს კომპანია ყოფილიყო სრულიად გაკოტრებული და ათეულობით მილიონი ლარის დავალიანება ჰქონოდა ბიუჯეტის წინაშე, რაც ნიკა გვარამიამ შეასრულა კიდეც. ეს ისე, ცნობის სახით გქონდეთ ზოგ-ზოგიერთებს“.**



# მრავლისმომცველი და ფასეული მეცნიერული მიგნების გზით

## აკადემიკოსი მინდია უგრეხელიძე 80 წლისაა

**გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს — აკადემიკოსს, პროფესორ მინდია უგრეხელიძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.**

მინდია უგრეხელიძე დაიბადა 1942 წლის 19 მაისს ქალაქ ქუთაისში. 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა, ხოლო 1963 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, საიდანაც დაიწყო და განვლო სამეცნიერო, პედაგოგიური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ნაყოფიერი და საინტერესო გზა. 1963-1976 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ჯერ უმცროსი, შემდეგ კი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1974 წელს ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე წარადგინა და დაიცვა სამეცნიერო ხარისხი, დისერტაციის მეცნიერული დასკვნები და რეკომენდაციები აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიას ეფუძნებოდა. 1976 წლიდან საქმიანობა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრაზე, ხოლო 1995 წლიდან იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში მის მიერ დაარსებული თანამედროვე სამართლის კათედრის გამგე. უძღვებოდა ლექციების კურსს სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიის, სამართლის ფილოსოფიის, საერთაშორისო სისხლის სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის მოდელირების პრობლემებზე. იგი არის 120-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, არაერთი მონოგრაფიული კვლევის ავტორი, რომლებიც სამართლის მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს ეძღვნება.

ბატონ მინდიას როგორც ქართული ენციკლოპედიის საგამომცემლო საბჭოს წევრს, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს და სამართლებრივი რეფორმის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართულ ენციკლოპედიაში სამართლისა და კრიმინოლოგიის ტერმინების მეცნიერულ განმარტებაში, საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის კოდექსში ახალი საკანონმდებლო პრინციპებისა და მუხლების შემოტანის საქმეში.

დიდია პროფესორ მინდია უგრეხელიძის როლი საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარებაში. საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე მის მიერ წარმოდგენილი მოხსენებები ანვითარებს და ნერგავს სამართალსა და კრიმინოლოგიაში სრულიად ახალ მიმართულებას სამართლის დიმენსიოლოგიასა და ლეგიმეტრიას, რითაც აკავშირებს ინტერდისციპლინარულ კვლევებს სამართლის, ფილოსოფიის, კრიმინოლოგიის, ეთიკის, ლოგიკისა და სხვა მეცნიერებათა გადაკვეთაზე. აღნიშნული მეცნიერული მიგნება მრავლისმომცველი და ფასეულია.

**ბატონი მინდია ოსტატურად უხამებს მეცნიერისა და პედაგოგის საპატიო საქმიანობას ნაყოფიერ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ის სხვადასხვა დროს იყო საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი, გაზეთების „კომუნისტის“ და შემდგომში „ახალი საქართველოს“ რედაქტორი. 1990 წელს არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს წევრად. 1990-1999 წლებში იყო დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე.**

**ბატონი მინდიას მაღალი პროფესიონალიზმისა და კომპეტენციის აღიარების მაჩვენებელია 1999 წელს მისი არჩევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პირველ ქართველ მოსამართლედ, სადაც 2009 წლამდე მოღვაწეობდა.**

აკადემიკოსი მინდია უგრეხელიძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, 1974 წელს მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდული პრემია, 2020 წელს — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის პრემია, 2022 წელს — „თამარის“ სამეცნიერო პრემია, 1991 წელს მიენიჭა უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამართლის წოდება. ბატონი მინდია არჩეულია აშშ-ის ოსტინის, ჰიუსტონის, პასადენას და ქალაქ ქუთაისის საპატიო მოქალაქედ. სხვადასხვა დროს იყო „იურისტთა მსოფლიო ასოციაციისა“ და „სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის“ წევრი; საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე; ევროსაბჭოს სისტემაში მოქმედი თბილისის პოლიტიკური სკოლის ექსპერტი.

იუბილარი ჩვეული ენერგიით განაგრძობს მოღვაწეობას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში პროფესორის, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აკადემიკოსის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მინისტრის სპეციალური მრჩევლის — ჟურნალ „იუსტიციის“ რედაქტორის საპატიო პოზიციებზე.

**გულითადად ვულოცავთ სახელოვან პიროვნებას, ძვირფას კოლეგას და მეგობარს 80 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, შემოქმედებით წარმატებასა და პირად ბედნიერებას.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,**
**საზოგადოებრივი მეცნიერებათა განყოფილება**

---

## კათოლიკოს-პატრიარქსა და პრემიერს შორის გამართული საუბარი სააკაშვილის საკითხს არ ეხებოდა

**„2022 წლის 15 მაისს, ჟურნალისტებთან საუბრისას ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა (ფაჩუაშვილი) კომენტარი გააკეთა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საავადმყოფოში გადაყვანასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს არის საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან შეხვედრის შედეგი.**

**საქართველოს საპატრიარქო მოხარულია, რომ ბატონი მიხეილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მოხდა მისი საავადმყოფოში გადაყვანა, რათა მას სათანადო სამედიცინო დახმარება გაეწიოს. თუმცა დავძენთ, რომ კათოლიკოს-პატრიარქსა და პრემიერს შორის გამართული საუბარი ამ საკითხს არ ეხებოდა და, ამდენად, ეს შეხვედრა არ გამხდარა ზემოაღნიშნულის მიზეზი“,** — ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებაში.

---

## ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტისადმი რუსეთის პატრიარქის მილოცვა გაუგებრობას ბადებს...

საქართველოს საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს, რომლითაც ეხმაურება მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მილოცვას ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტისადმი, ე.წ. არჩევნებში მის გამარჯვებასთან დაკავშირებით.

**„მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის აღნიშნული წერილი ბადებს გაუგებრობას, რადგან.**

**ა. რუსეთის ეკლესია აღიარებს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე;**

**ბ. საქართველოს ეკლესია, საქართველოს სახელმწიფო და საერთაშორისო საზოგადოებაც ცნობს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს, ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ ადმინისტრაციებს მიიჩნევს საოკუპაციო რეჟიმად.**

**სამწუხაროა, რომ დღეს, როდესაც მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ურთიერთობების გამყარების ყოველი მცდელობა უმნიშვნელოვანესია, იდგმება ისეთი ნაბიჯები, რომელიც უარყოფითად მოქმედებს არსებულ მდგომარეობაზე და ართულებს ვითარებას“,** — აღნიშნულია საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში.

---



## თუ დაიკარგება ოჯახის უწმინდესი ღირებულება, მაშინ ჩვენი ერიც ველარ იარსებებს და გადაშენდება

**ოჯახის სიმტკიცის და მშობლების პატივისცემის დღესთან დაკავშირებით საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, მეუფე შიო მუჯირმა სასულიერო პირებთან ერთად გუშინ ქაშუეთის ტაძარში პარაკლისი აღავლინა.**

მეუფე შიომ შეკრებილ მრევლს ქადაგებით მიმართა.

**„თქვენ ალბათ იცით ეკლესიის სწავლება, რომ ადამიანი შექმნილია ხატად და მსგავსად ღვთისა. რაც შეეხება მსგავსებას, ამაზე არსებობს წმინდა მამათა სწავლება შეთანხმებული, მაგრამ რაც შეეხება ხატებას ამაზე გამოთქმულია სხვადასხვა აზრი, მამათა უმრავლესობა ამბობს, რომ ხატება მდგომარეობს ადამიანის გონებაში, მის თავისუფალ ნებაში, ამბობენ ასევე, რომ ეს არის სული, სამშვინველი და სხეული, მაგრამ არიან წმინდა მამები, რომლებიც ასწავლიან, რომ ყოვლადწმინდა სამების ხატება გახლავთ ოჯახი. ქორწინება არის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშან-თვისება ადამიანისა, რითიც ჩვენ განვსხვავდებით პირუტყვებისგან, არის რამდენიმე უმთავრესი ნიშან-თვისება, ეს არის გონება, ეს არის სიტყვა, რელიგია და ქორწინება. ამ მხრივ ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენთვის ძვირფასია ოჯახი, როგორც ღვთისგან ბოძებული სიწმინდე და როგორც ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშან-თვისება. როდესაც ადამიანი ხელყოფს ოჯახის სიწმინდეს, შეურაცხყოფს მას, როდესაც ადამიანი აკნინებს სიტყვის ნიჭს და როდესაც ადამიანი უარყოფს რელიგიას, რა თქმა უნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ გონებასაც კარგავს ადამიანი და ასეთი ადამიანი შეიძლება იწოდოს სრულყოფილად? ამრიგად, დღეს ჩვენ ვიცავთ ამ სიწმინდეს, დღეს დადგა ეს საჭიროება, ჩვენს წინაპრებს არასდროს ჰქონიათ ასეთი საჭიროება, იმიტომ რომ თავისთავად იგულისხმებოდა, დღეს დადგა და ვიმეორებ, რომ ჩვენ კი არ აღვადგენთ რამე წესს, ჩვენს მამა-პაპათა მიერ მოგონილს, არამედ უშუალოდ ღვთის მიერ მოცემულს და ჩვენ ვზრუნავთ იმისთვის, რომ დავიმკვიდროთ ჩვენი ადგილი მომავალში, თუ დაიკარგება ეს უწმინდესი ღირებულება, მაშინ ჩვენი ერიც ველარ იარსებებს და გადაშენდება“!..**

## გლობალური ინტერესების სასტიკი გამოვლინებები

იური პაპასქუა



# მსოფლიოს გლობალურმა ინტერესებმა სისხლისმიერი ძმები ძმათამკვლელ ომში ჩაითრია



**სამშვიდობო ზავსაც რომ მოეწეროს ხელი, იმდენად დიდია ორივე მხარის მიერ გამოვლენილი სისასტიკე, ტკივილი, სიძულვილი, დანაკარგი და გაუცხოება, ურთიერთობის აღდგენას თაობები დასჭირდება — ასეთია ომის ლოგიკა.**

**სამყარო გლობალური საფრთხის წინაშე რეალურად დგას! Covid-19-ის გავრცელებით გამოწვეული პანდემია ჯერ არცაა მინელებული და მსოფლიოს ახალი უბედურება თავს დაატყდა. ეჭვიც არ იყო, რომ 24 თებერვალს კიევზე განხორციელებული თავდასხმით „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ კი არა, რუსეთ-უკრაინას შორის დაიწყო ნამდვილი ომი, — დაუნდობელი, უსასტიკესი, ყველა საშუალებებისა და ფორმების გამოყენებით.**

**უკვე სამი თვე იწურეა, ინგრევა ქალაქები, იწვის სოფლები, იძარცვება სავაჭრო ობიექტები თუ მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები, საცავებიდან მარცვლეული მიაქვთ, ოკუპირებული ადგილებიდან მეომრები ალაფს ეზიდებიან, რაც ყველაზე უმძიმესია — იხოცება ხალხი. ღვთით ბოძებულ ადამიანის სიცოცხლეს, არსებობის უფლებას ტვინამღვრეული გუნდის თუ პარანოიით შეპყრობილი ერთი კაცის დაუოკებელი ამბიციები განკარგავს. სწორედ ეს არის ჩვენი დროის ყველაზე დიდი საერთო უბედურება — ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, მათი სიცოცხლის ფასად, ხალხისვე სახელით ხელისუფლებაში მოსული „კრატია“ სხვის ინტერესებს ემსახურება და ამით საკუთარ კეთილდღეობას იწყობს.**

ტყვიით მოსული საშინელება, პირველივე დღიდან, უკრაინის საზღვრებს გასცდა — უკვე თერთმეტ მილიონზე მეტი დევნილი გადაიხვეწა საკუთარი საცხოვრისიდან და ომის ექო მიმღებ ქვეყნებშიც მიიტანა; კოვიდით ისედაც შეკვეცილი მსოფლიო ეკონომიკა უფრო ძირს დაეშვა, ნავთობპროდუქტებისა და სურსათის ფასები უკონტროლოდ გაიზარდა. არასასუსათო და სამრეწველო საქონელიც გაძვირდა. სახნავ-სათესი მოუვლელი დარჩა და მდგომარეობა შემოდგომაზე, ომის გარეშეც, დამძიმდება. ომით გამოწვეული უკუჩვენებები პლანეტის თითქმის ყოველ მოსახლეს შეეხო. ყველა ნიშნის მიხედვით, ეს ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. პირდაპირ საომარ მოქმედებებს პარტიზანულიც აჰყება, იარაღის საწყობების მასშტაბური აფეთქებები, დივერსიული და ტერორისტული თავდასხმები დაიწყება. **სამშვიდობო ზავსაც რომ მოეწეროს ხელი, იმდენად დიდია ორივე მხარის მიერ გამოვლენილი სისასტიკე, ტკივილი, სიძულვილი, დანაკარგი და გაუცხოება, ურთიერთობის აღდგენას თაობები დასჭირდება — ასეთია ომის ლოგიკა.**

როგორც არ უნდა დაამძიმო სიტუაცია, უკრაინაში არაფერი უცხო არ ხდება, რაც არ მომხდარა ავღანეთში, ერაყში, ჩეჩნეთში, დნესტრისპირეთში, იუგოსლავიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, სირიაში, ალეპოში, დამასკოში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში... იქაც იწვოდნენ სახლები, იხოცებოდნენ ბავშვები, ქალები... აუპატიურებდნენ, აწამებდნენ. უფრო უარესიც, - მოწყვეტილი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ... ასე დაიწყო „არაბული გაზაფხულიც“. განსხვავებული ფორმის და საბაბის გარდა, ერთნაირია ყველა ომის მოკლე ანოტაცია, ტრაგიზმიც და ანატომიაც. ყველა მათგანს ერთი სახე ჰქონდა და ძლიერ მავანთა საერთო გლობალური ინტერესი კვებავდა, თუმცა აქედან გამოცდილება ვერავინ გაითვალისწინა. გლობალურ ინტერესში, უწინარესად, გავლენათა გადანაწილების დაუნდობელი სწრაფვა იგულისხმება.

ადრე, ოკეანის გაღმა აგორებულ მსოფლიო მმართველობის ამ დაუოკებელ სურვილს სტალინის სოციალისტური ერთობა ანეიტრალებდა, მერე, სხვა ქვეყნებთან ერთად, ამერიკისთვის „გზიდან ჩამოცილების“ ძირითადი სამიზნე „ცივი ომით“ ქანცგაცლილი საბჭოეთის მემკვიდრე რუსეთი აღმოჩნდა. ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, ეს დაპირისპირება უფრო მასშტაბური და სასტიკი ხდება — ყოველი მხრიდან ახლა უკვე ატომურ ბომბებს უქარქაშო ხმლებივით იქნევენ. მასობრივი მოსპობის ქობინები დღეს სხვებზე გავლენის თავსმოხვევის ინსტრუმენტად გამოიყენება. მუქარა, დაშინება, შანტაჟი, იარაღის ჟღარუნი საერთაშორისო ურთიერთობის თანმხლები ნაწილი გახდა. **მშვიდობისთვის, ჯანმრთელობისთვის, ადამიანთა კეთილდრეობისთვის, უფრო ნაკლები კეთდება, ვიდრე სიძულვილის პროპაგანდას, მასობრივი მოსპობის იარაღის გამოცდას, მათ ტირაჟირებასა და გამოყენებას ხმარდება.**

**საიდან მოდის ეს სისასტიკე ან საითკენ მიდის?! — „ყოფნა?.. არ ყოფნა?“ შექსპირის მიერ დასმულ სამარადისო საფიქრალივით, საზოგადოებას ამ კითხვებზე პასუხი არ გააჩნია.**

კაცობრიობის მიერ გამოვლილი გზა ხოცვა-ჟლეტის, სისასტიკის, ბარბაროსობის ისტორიაა, რომელსაც მემატიანე მეტწილ გმირობად წარმოაჩენს, თუმცა ყველა ომს თავისი პროპაგანდა აქვს, — **ინფორმაციული ტორნადო თავის რკალში ითრევს ტყუილს და მართალს, მერე კი იმას ფქვავს, ვის ინტერესებსაც ეს ომი ემსახურება.** ყველა შემთხვევაში, ომი უდანაშაულო ადამიანთა ღია სასაკლაოა. ის ისეთ მხეცურ ინსტინქტებს აღვიძებს ადამიანებში, მისგან თავდაღწევა შეუძლებელია — მერე შერყეული ფსიქიკა, დაგროვილი ზიზღი თაობებს გადაეცემა და შურისძიების მოტივები უკვალოდ არ ქრება. **აგრესია თუ სისასტიკე რომელიმე ერის ბუნებასა და ხასიათში კი არ სახლობს, არამედ სათავეს მათზე ომის თავსმოხვევიდან იღებს, მერე გადადის უკონტროლო სიგიჟესა და ქრონიკულ ფსიქოზში, რომლითაც ადამის მოდგმა სამოთხიდან გამოძევების შემდეგ დაავადდა და მისგან განკურნების თერაპია, ადამიანურად ცხოვრება ვერ ისწავლა.**

რუსეთ-უკრაინის ომიც ისტორიული ბარბაროსობის ნაწილია და ბევრად არ გამოირჩევა კლასიკურისგან, მაგრამ მას **აშკარად გამოხატული განსხვავებულობა გააჩნია:**

საგულდაგულოდ შეფუთვის მიუხედავად, პირველივე დღიდან აშკარა იყო, რომ **ამ ომში ჩართული ძალები იქ ტერიტორიების მიტაცებისთვის არ იბრძვიან.** ამ უსასტიკეს თვალხილულ დაპირისპირებაში რუსეთი და უკრაინა აღმოჩნდნენ პირობითი ბარიერის გაღმა-გამოღმა. **სინამდვილეში კი რუსეთის წინააღმდეგ, უკრაინის ტერიტორიაზე, რუსულ-უკრაინელი ცოცხალი ძალის გამოყენებით, ამერიკა, ბრიტანეთი და მათი გავლენის ქვეშ მოქცეული სხვა ქვეყნები ახალი გლობალური წესრიგისთვის იბრძვიან.** ამ ომში ბრმა ტყვიის სამიზნედ გამოყენებულია მოსახლეობა, რომლებსაც პიროვნულად ერთმანეთისთვის არაფერი დაუშავებიათ და არც ომის დაწყებაში მიუძღვით წილი. ყველაზე ამაზრზენი კი ისაა, დამპყრობლური და კოლონიური სწრაფვის წარსულის მქონე ქვეყნები, ვითომ „შეშფოთებული გმობენ“ მშვიდობაზე დამუქრებულ აგრესიას და სოლიდარობას იმით გამოხატავენ უკრაინელი ხალხის მიმართ, რომ აწვდიან ზემძლავრ შეიარაღებას, საბრძოლო მასალებს, სამედიცინო საშუალებებს, სურსათს, სტრატეგიულ ნედლეულს, ფინანსურ რესურსებს — ლენდ-ლიზის პროგრამა უკვე მოქმედებს, აქედანვე განიხილავენ დანგრეული ქალაქების სრული რეაბილიტაციისთვის სახსრების მობილიზების შესაძლებლობებს. მაგრამ ყალბ წარმოდგენებსა და ილუზიებისგან თუ გამოვიხედავთ, ადვილი შესამჩნევია, რომ **მსოფლიოს მიერ „შეგროვებული ეს ჰუმანიტარული ტვირთი“ და ომით დანგრეულის აღდგენის მოტივაცია მოსახლეობის კეთილდღეობას, ომის შეჩერებას კი არა, საომარი მოქმედებების გააქტიურებას ხმარდება.** ასეთი „დახმარებით“ კი **ცოცხალ ძალებს უკრაინაში ერთურთს ახოცინებენ.** უკრაინასა და ბევრ მის გულშევატკივარ ქვეყანაში დღეს — **Слава Украині! Героям Слава!** — მისალმების ფორმად იქცა. **მშვიდობა უკრაინასო,** არავინ გაიძახის და ამ ხანგრძლივი სამკვდრო შერკინების შეჩერებას არავინ ცდილობს. ესაა აქ საყურადღებო, თუმცა ამის ახსნას მხოლოდ ცალმხრივი ხასიათი აქვს. არც იმაზე კეთდება აქცენტები, რომ **უკრაინის ტერიტორიაზე დანგრეული ქალაქები, დახოცილი ბავშვები, ქალები, მოხუცები, - ეს მხოლოდ რუსეთის ნამოქმედარი არ არის, ეს ამ ომში ჩართული ქვეყნების კაცთმოძულე პოლიტიკის, არასახელმწიფოებრივი აზროვნების მხილებაცაა და ამაში თანამონაწილეა ყველა, ვინც უკრაინას ომისკენ უბიძგა, დახმარებას და თანადგომას დაჰპირდა, გონივრულ კომპრომისზე წასვლა არ ჩააგონა.** ყველაზე ამაზრზენი კი ის არის, რომ მათ დიდი ხანია უჭირავთ თვალი სარგებელზე, რომელიც ომის დასრულების სხვადასხვა ვარიანტიდან შეიძლება მიიღონ. **ომის წისქვილი ადამიანის სიცოცხლეებს სპობს, თუმცა ბევრისთვის „სარჩო-საბადებელსაც“ ფქვავს — გლობალური ინტერესის ყველაზე დიდი სისასტიკე სწორედ ამაში ვლინდება.**

უკრაინელი ხალხი როცა იბრძვის, ანთებულია, სიცოცხლეს სწირავს და თავის საცხოვრისს, დამოუკიდებლობას, ქვეყანას იცავს — ეს, რა თქმა უნდა, მაღალი ზნეობაა! ეს ხალხი პატივისცემას, თანადგომას, ყველაზე უფაქიზეს მოპყრობას იმსახურებს. მაგრამ როცა მშვიდობიან მოსახლეობას, სხვათა დაპირისპირებისა და განკერძოებული მიზნების გამო, ასეთ მდგომარეობაში აგდებენ, ეს არანაკლები საშინელებაა, ვიდრე ათასობით უმოწყალო კაცთჟლეტა;

დღეს ყველაზე რადიკალური ოპონენტიც კი უნდა ხვდებოდეს, რომ **გლობალური ინტერესების ალიანსმა უკრაინას თავისი ორი განუყრელი მეზობელი — რუსი და ბელარუსი, სისხლისმიერი ძმები, ერთ დროს თანამოაზრეები და თამამებრძოლები, ერთმანეთს გადაჰკიდა, ძმათამკვლელ ომში ჩაითრია.** დიახ, გა-



**უკრაინის ტერიტორიაზე დანგრეული ქალაქები, დახოცილი ბავშვები, ქალები, მოხუცები, - ეს მხოლოდ რუსეთის ნამოქმედარი არ არის, ეს ამ ომში ჩართული ქვეყნების კაცთმოძულე პოლიტიკის, არასახელმწიფოებრივი აზროვნების მხილებაცაა და ამაში თანამონაწილეა ყველა, ვინც უკრაინას ომისკენ უბიძგა, დახმარებას და თანადგომას დაჰპირდა, გონივრულ კომპრომისზე წასვლა არ ჩააგონა**

**დღეს ყველაზე რადიკალური ოპონენტიც კი უნდა ხვდებოდეს, რომ გლობალური ინტერესების ალიანსმა უკრაინას თავისი ორი განუყრელი მეზობელი — სისხლისმიერი ძმები, ერთ დროს თანამოაზრეები და თამამებრძოლები, ერთმანეთს გადაჰკიდა, ძმათამკვლელ ომში ჩაითრია.**

დაჰკიდა და ჩაითრია! — სხვა მხრივ, მათ ისტორიული სიძულვილის საფუძველი არ აქვთ. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, რუსეთს უკრაინის, აგრეთვე შუა აზიის ქვეყნების, კავკასიის, აღმოსავლეთი ევროპის და თუ გნებავთ, მთელი მსოფლიოს ლიტერატურის, კოლტურის, ხელოვნების, განათლების, მეცნიერების, მათ შორის, ატომური ენერგეტიკის, ეკონომიკის განვითარებასა და სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი აქვს. გლობალურმა ინტერესმა, მსოფლიო პროპაგანდისტულმა მანქანამ და ხრუშჩოვის გონებაჩლუნგობით წამოწყებულმა აგიტაციამ შეძლო დამსახურებული თუ დაუმსახურებელი ცოდვების რუსეთისთვის აკიდება, მისი ისტორიული მისიის დაკნინება, მტრის ხატის, უმადურობის დამკვიდრება. საერთო მეცადინეობითა და შიდა მოღალატეობრივი რესურსების გამოყენებით, სარწმუნოებრივად, მენტალურად, კულტურულად იდენტური, საერთო ისტორიის, ეკონომიკურად გადაჯაჭვული და განვითარების ერთიან პლატფორმაზე მდგომი, ერთიანი ფესვიდან განტოტილი ეს სამი ვარჯი დღეს იარაღით არკვევს ურთიერთობას;

არავისთვის არ უნდა იყოს „აღმოჩენა“, რომ მსოფლიო წესრიგი, რომელსაც 1991 წლის დეკემბერში ბელორუსიის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციის და უკრაინის მიერ **„ბელოვეჟსკაიას შეთანხმებით“** დაედო სათავე, მათ ტერიტორიულ მთლიანობას, ერთიან თავდაცვით სტარტეგიას და სრულ ჰარმონიულ განვითარებას ნატოზე მეტ სხვა ათას წინაპირობის გარანტიებს უქმნიდა. მაგრამ ეს არანაკლებ „ძლიერი კავშირი“ სწორედ გლობალური ინტერესებიდან იმთავითვე „ამოვარდა“ და მისი დაშლა „ცეცხლითა და მახვილით“ დიდი ხანია მიმდინარეობს. **რუსეთიც და უკრაინაც ფარულ, შორს გამიზნულ ამ გლობალურ ინტერესებს პირწმინდად წამოეგო, — რუსეთი თავის ფანდზე (იმპერიულ სულისკვეთებაზე) დაიჭირეს, უკრაინის ხელისუფლება კი კორუფციულ ინტრიგებსა და ნაციონალურ ამბიციებში გაიხლართა.**

ყოველგვარი შელამაზების გარეშე უნდა ითქვას, რომ **ეს ომი ამერიკის ჰეგემონური მისწრაფებებზე დამორჩილებული ქვეყნების ხელისუფლებების უგუნური პოლიტიკის გამოა აალებული და ენერგომატარებლებზე გავლენის გადანაწილებას ემსახურება.** ფორმალურად, კი უკრაინა ნატოზე ოცნებას, ხელმძღვანელობის პოლიტიკურ სიბეცეს და ღია ბაქიობას შეეწირა. **უკრაინა რუსეთთან ომისთვის, რუსეთის გასანადგურებლად გლობალურმა ძალებმა სარფიანად „დაიქირავეს“ და მას ამ ომიდან „დეზერტირობის“ საშუალება არ მისცეს.**

თავის მოტყუებაა სხვა საბაბის ან დაპირისპირების სცენარების წარმოდგენა, რეალობა ისაა, რომ სხვათა ფარული მიზნების მისარწევად, **რუსეთსა და უკრანაში ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობას და ერთმანეთს ერთი წარმომავლობის ხალხი ებრძვის;**

**ამ ომში რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირებიც მონაწილეობს.** ნატო ხმამაღლა აცხადებს, რომ არ აპირებს დაპირისპირებაში ჩართვას, მაგრამ ის არც მხარეთა დაშორისებას ცდილობს. პირიქით, — თანადგომას უცხადებს და აგულიანებს უკრაინას. ნატოს წევრი ქვეყნები უკრაინელ მებრძოლებს გამალებით ამარაგებენ იარაღით, თანამედროვე სამხედრო დანადგარებითა და ინსტრუქტორებითაც. ამასთან, ამ იარაღისთვის ტყვიები, დანადგარებისთვის საბრძოლო მასალა მხოლოდ მიმწოდებელ ქვეყნებში მზადდება და ახალ დაკვეთაზე სამხედრო ინდუსტრია შეუჩერებლად მუშაობს. ეკონომიკურ ინტერესს თავს თუ დავანებებთ, აღნიშნული ფაქტიდან ის მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ ნატოში „წესრიგი“ არ არის. მისი წევრი ქვეყნები სამხედრო სფეროშიც კი ცალ-ცალკე მოქმედებენ. ბრმამაც უნდა დაინახოს, რომ ეს არის ხელოვნურად შენიღბული მონაწილეობა ომში, — წინა ხაზზე უკრაინელი ხალხი იბრძვის საკუთარი ტერიტორიის, დამოუკიდებლობის, სხვათა თავისუფლების დასაცავად, ზურგს კი „ინტერესთა ერთობა“ უმაგრებს, რაც ტოტალური კატასტროფის წინაპირობაა. ასეთ გამოვლინებათა გამო, **ამ ომს გლობალურად ფეთქებადსაშიში ნიშანიც აქვს — ეს უკვე გამოუცხადებელი მსოფლიო ომია!**

**(დასასრული მომდევნო ნომერში)**

# შოთაობა მარნეულში



**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით და მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ხელშეწყობით, ქალაქ მარნეულში დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დღე აღინიშნა, — ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.**

მათივე ინფორმაციით, ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე კახა სიხარულიძე, საქართველოს პარლამენტის მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატი ზაურ დარგალი, სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლის მხარეში გიორგი დოხტურიშვილი, ქალაქ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი კენან ომაროვი, მერის მოადგილე როინ დეკანოიძე და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდა.

მარნეულის საკრებულოს საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა ლექცია-სემინარი შოთა რუსთაველის ფენომენის შესახებ, სადაც ფილოლოგმა და პედაგოგმა მაკა ელბაქიძემ ისაუბრა “ვეფხისტყაოსანზე“ შუასაუკუნეების აღმოსავლური ლიტერატურის კოტექსტში, ფილოლოგმა ლევან გიგინეიშვილმა კი შოთა რუსთაველის ფენომენი განიხილა.

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველმა მოადგილემ კახა სიხარულიძემ მარნეულის მუნიციპალურ ბიბლიოთეკას კულტურის სამინისტროს მიერ გამოცემული 30-მდე დასახელების წიგნი გადასცა. მოწვეულმა სტუმრებმა მარნეულის კულტურის სახლის ფოიეში მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გამოცემული ვეფხისტყაოსნის გამოფენა დაათვალიერეს, რის შემდეგაც მეთოჯინე არმენ ოვანესიანის თოჯინურ პერფორმანსს დაესწრნენ. დასკვნით ნაწილში, მარნეულის კულტურის სახლის დარბაზში გაიმართა ანსამბლ „დიდგორის“ კონცერტი, რომლის დაწყებამდე სტუმრებს სიტყვით მიმართა და რუსთაველის დღის შესახებ ისაუბრა ფოლკლორის ცენტრის დირექტორის მოადგილემ გიორგი გაბუნიამ.

ასევე, ნაჩვენები იყო ქართველი ხელოვანების მიერ შოთა რუსთაველის პოემის კითხვის ამსახველი აუდიო-ვიზუალური (ილუსტრაციები) კოლაჟი. კონცერტის მსვლელობისას აშუღმა ნარგილე მეხტიევამ შეკრებილ საზოგადოებას აშუღური პოეზიის ნიმუშები წარუდგინა.

# თეა წულუკიანი „სუხიშვილების“ საქველმოქმედო კონცერტს დაესწრო

**თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში ქართული ნაციონალური ბალეტის, ანსამბლ „სუხიშვილების“ საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა, რომელსაც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი და მინისტრის მოადგილე სოსო გიორგაძე დაესწრნენ.**

უწყების ინფორმაციით, კონცერტი საქართველოს კულტურის პალატის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზებით, ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა და კონცერტიდან შემოსული თანხა მიმართული იქნება უკრაინის ქალაქ ივანო-ფრანკოვსკის სტეფანიკის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მხარდასაჭერად. თეა წულუკიანმა მადლობა გადაუხადა კულტურის პალატას, თბილისის მერიას, მერს და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ამ საქველმოქმედო კონცერტის ორგანიზებისთვის, ასევე, ანსამბლ „სუხიშვილების“ მოცეკვავეებს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ კონცერტი მის ორგანიზატორებს საშუალებას მისცემს, დახმარება აღმოუჩინონ ბავშვებს და ასევე, იმ ადამიანებს, ვისაც ეს დახმარება უკრაინაში ყველაზე მეტად სჭირდება.



# სად ცხოვრობს მოხუცი მეზღაპრე? - რა თქმა უნდა, საქართველოში



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მწერალსა და კინორეჟისორს **გურამ პეტრიაშვილს** ულოცავს **80 წლის იუბილეს.**

**„გურამ პეტრიაშვილი — მწერალი, კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი... და, მაინც, უპირველესად, ის მეზღაპრეა. შეიძლება, მოიძებნოს უკეთესი მწერალი, კინორეჟისორი ან მსახიობი, მაგრამ ძალიან ძნელად მოიძებნება უკეთესი მეზღაპრე.**

**სად ცხოვრობს მოხუცი მეზღაპრე? საყოველთაოდ ცნობილ ამ შეკითხვას, შესაძლოა, დღეს ერთადერთი პასუხიც კი ჰქონდეს: რა თქმა უნდა, საქართველოში.**

**თუმცა, მოხუცს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ: 80 წლის გურამ პეტრიაშვილი ახალგაზრდულად შემართული და შემოქმედებითი ჩანაფიქრებით აღსავსეა.**

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო იუბილეს ულოცავს ბატონ გურამ პეტრიაშვილს და, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ერთ-ერთ ხელმომწერს, დღეგრძელობას, მხნეობას, სათაყვანებელი სამშობლოს თავისუფლებასა და ძლიერებას უსურვებს“,** — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ურბანული პეიზაჟები და სტილისტიკის ცვალებადობა დროის დინამიკაში

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსში „კულტურის სექტორში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა“ გამარჯვებული პროექტის „ქარავან არტ ფორუმი ქუთაისი 2022“-ის ფარგლებში, 13-14 მაისს სასემინარო შეხვედრა და მხატვრების პრეზენტაცია გაიმართა.**

ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, სემინარი სალონიკის მუზეუმიდან და პარიზიდან საგანგებოდ მოწვეული სპეციალისტების მიერ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა. შეხვედრების მთავარი თემები გახლდათ მუზეუმის მართვისა და რესტავრაციის უახლესი მეთოდოლოგიები.

**„ქუთაისის მუზეუმში გამართული სემინარის მომხსენებლები იყვნენ მარია ცანცანოღლუ (სალონიკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დირექტორი), სტანისლავ ხაშიმოვი (ART PARTENAIRE-ის ხელმძღვანელი) და პატრიცია ვერგესი (ART PARTENAIRE-ის რესტავრატორი). სასემინარო ნაწილის მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები დარგის სპეციალისტების ცოდნის გაღრმავება კონსერვაციისა და რესტავრაციის თანამედროვე მეთოდოლოგიის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მოწვეულმა მომხსენებლებმა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო-სარესტავრაციო განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლებთან ერთად ურთიერთთანამშრომლობის საკითხებიც განიხილეს. სასემინარო ნაწილის ფარგლებში, ასევე, მხატვრების პრეზენტაცია გაიმართა.**

**თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „ქარავან არტ ფორუმი ქუთაისი 2022“ კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და დაფინანსებით 12-15 მაისს განხორციელდა. ქალაქ ქუთაისში, „არტ ფორუმი“-ის ფარგლებში, არაერთი საინტერესო გამოფენა, პრეზენტაცია, სამუშაო და სასემინარო შეხვედრა გაიმართა უცხოელი და ქართველი ხელოვანების მონაწილეობით. მიმდინარე წლის ფორუმის კონცეფციას წარმოადგენდა ურბანული პეიზაჟები და სტილისტიკის ცვალებადობა დროის დინამიკაში. ფორუმის ცენტრალური გამოფენა „დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეაში“ გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ერთობლივი საექსპოზიციო პროექტი. „ქარავან არტ ფორუმი ქუთაისი 2022“-ის მიზანი გახლდათ სხვადასხვა ქვეყნიდან და რეგიონიდან მონაწილე ხელოვანებისთვის საერთაშორისო ასპარეზზე თავის წარმოჩენაში დახმარება, ასევე, უცხოელი და ქართველი ხელოვანებისთვის ურთიერთთანამშრომლობისა და კულტურული დიალოგის განვითარების მხარდაჭერა და საქართველოსა და ქართული ხელოვნების შესახებ უცხოელ არტისტებში ცნობადობის ამაღლება“,** — ნათქვამია ინფორმაციაში.



ტატამზე

# მაინც სოლიდურად

**მოახლოვდა ძიუდოისტთა თბილისის გრანდ სლემი და გაირკვა, რომ 9-წლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს დედაქალაქს იაპონური კვინტეტიც ეწვევა გენკი კოტას (60), რიომა ტანაკას (66), კენ ოიოშის (73), შიოჩირო მუკაისა (90) და ჰისაიოში ჰარასავას (+100) შემადგენლობით.**

რაც შეეხება მასპინძლებს, ისინი ვაჟთა ტურნირში მაქსიმალური კვოტით — თითოეულ წონაში 4-4 „ჯვაროსნით" იჭიდავებენ, თუმცა ამჯერად ტატამზე ვერ ვიხილავთ ვარლამ ლიპარტელიანს, საბა ინანეიშვილს, ბექა ღვინიაშვილსა და ლაშა ბექაურს, რომელიც



ოლიმპიურ ტოკიოში ტრიუმფის შემდეგ ტრავმირებულ მხარს მკურნალობს.

მიუხედავად ასეთი დანაკლისისა, ლაშა გუჯეჯიანის გაწვრთნილი გუნდი 3-5 ივნისს მაინც სოლიდური კრებულით იასპარეზებს:

**60. ჩხვიმიანი, პაპინაშვილი, ნოზაძე, სარდალაშვილი. 66. მარგველაშვილი, თუთაშვილი, ნადირაძე, კაპანაძე. 73. შავდათუაშვილი, ტერაშვილი, ჩიხელიძე, გიგანი. 81. გრიგალაშვილი, ახალკაცი, გუგავა, შერაზადიშვილი. 90. მაისურაძე, მარგიანი, პაპუნაშვილი, გოგოლაძე. 100. სულამანიძე, სანებლიძე, ბერიაშვილი, საური. +100. თუშიშვილი, ზაალიშვილი, ქავთარაძე, ბუღაძე.**

**ქალთა ნაკრები: ყიფშიძე (48), ჯანაშვილი (52), ლიპარტელიანი (57), უთნელიშვილი (63), სილაგაძე (70), ჭანტურია (78), სომხიშვილი (+78).**

კარატე

# მზექაბუკის მაისი



**ამ დღეებში საფრანგეთის ქალაქმა ლიონმა კარატისტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა 20 ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენის მონაწილეობით.**

მსოფლიოს გაერთიანებული კარატეს ფედერაციის ორგანიზებით გამართულ ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში პირველად იასპარეზა საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის გუნდმა, რომლის დებიუტიც წარმატებით აღნიშნა შავი ქამრის მე-5 დანის მფლობელმა, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა **მზექაბუკ მახარაძემ,** რომელიც სამშობლოში კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში მოხვეჭილი „ბრინჯაოთი" დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის უფროს ინსტრუქტორს საერთაშორისო სარბიელზე 2000 წლიდან უკვე 100 -მდე მედალი აქვს მოპოვებული.

ლეგიონერი

# 10 წლის შემდეგ?

**საკალათბურთო ევროთასის მოპოვების შემდეგ თორნიკე შენგელიას „ვირტუს ბოლონია" წარმატებით ჩაერთო ქართველი ლეგიონერისთვის სასტარტო იტალიური სეზონის მეორე ტიტულისთვის — სკუდეტოსთვის ბრძოლაში, მაგრამ „პეზაროსთან" მოგებული პირველი მეოთხედფინალური მატჩის მესამე პერიოდში მან პარკეტი პარტნიორთა დახმარებით დატოვა და სარბიელზე შეხვედრის ბოლომდე აღარ გამოჩენილა.**



როგორც მოგვიანებით გაირკვა, კოჭის ტრავმა მოსალოდნელზე სერიოზული გამოდგა და არაა გამორიცხული, ჩვენმა თანამემამულემ პლეი-ოფის დარჩენილი ეტაპების ბოლომდე ველარ შეძლოს ახალი კლუბის მაისურით თამაში.

ამასობაში აპენინური პრესით გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ჯვაროსანთა" ლიდერმა ყველა ევროპულ გრანდთან შეაჩერა მოლაპარაკებები და კარიერის ნბა-ში გაგრძელებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ იგი 2012 წელს „ბრუკლინმა" დრაფტზე 54-ე ნომრად აირჩია და შემდეგ „ჩიკაგოს" დაუთმო.

ასე რომ, საინტერესოა, დაბრუნდება თუ არა 10-წლიანი პაუზის შემდეგ თორნიკე შენგელია ოკეანის გაღმა. თუმცა, ჯერ მას გამოჯანმრთელება ვუსურვოთ.

ტატამზე



# მოკლედ

**სუმო:**

სამწაგებიანი კატასტროფული სტარტის შემდეგ **ლევან გორგაძემ** (ტოჩინოშინი) საგრძნობლად გამოასწორა მდგომარეობა და ფინიშამდე სამი ბრძოლით ადრე ნაცუ ბაშოზე დადებით ბალანსზე გავიდა — 7:5.

ასე რომ, დასავლეთის მე-9 მაეგაშირას კაჩი-კოშის დასაფიქსირებლად დარჩენილი 3 შეხვედრიდან მინიმუმ ერთის მოგება მართებს.

შეგახსენებთ, რომ ეს „ტოჩის" პროფესიულ კარიერაში 98-ე ბაშოა.

**ჰოკეი.**

მსოფლიოს ჩემპიონატი ტრადიციული სცენარით გაიხსნა — ოკეანისგაღმელებს ნჰლ-ის პლეი-ოფების გამო მთელი რიგი ვარსკვლავები აკლიათ.

ასეთ ვითარებაში ჯერჯერობით ამერიკელები დაზარალდნენ, ხოლო სანქცირებული რუსეთის არყოფნაში მთავარ ფავორიტად ქცეული კანადელები წარმატებას წარმატებაზე აღწევენ შვედების მსგავსად.

რაც შეეხება ზემოთ უკვე ნახსენებ ჰოკეის ეროვნული ლიგის სეზონს, მეოთხედფინალში მეტოქენი ასე დაწყვილდნენ:

**„ფლორიდა" — „ტამპა",**
**„კოლორადო" — „სენტ ლუისი",**
**„კაროლინა" — „რეინჯერსი",**
**„კალგარი" — „ედმონტონი".**

ევროპის სტადიონებზე

# მუნდიალის წინ

**ტრადიციისამებრ, მსოფლიოს ჩემპიონატების გამართვის წელს ეროვნული ჩემპიონატები შედარებით ადრე მთავრდება. მართალია, წლეულს პირველ არაბულ მუნდიალს ყატარი შემოდგომა-ზამთრის მიჯნაზე მასპინძლობს, მაგრამ ტოპ-ქვეყნების ევროპული ხუთეულის წევრ სახელმწიფოებში კვანძი უჩვეულოდ ადრე გაიხსნა (ან იხსნება).**

**ინგლისი.** რამდენიმე თვის წინათ ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ „;მანჩესტერ სიტი" 12-ქულიან უპირატესობას გაანიავებდა, მაგრამ საბოლოოდ სწორედ ასე მოხდა და ბოლო ტურის წინ პრემიერლიგის მოგების შანსს „ლივერპულიც" ინარჩუნებს.



ბრიტანული ფეხბურთის ამ ორი გრანდისთვის განსხვავებული სცენარით ვითარდებოდა მოვლენები ჩემპიონთა ლიგაში, სადაც ხოსეპ გვარდიოლამ ვერც წლეულს გაახარა „ქალაქელთა" ქომაგები და შეიძლება ითქვას, რომ სეზონი ჩააგდო მაშინ, როცა მისი პრინციპული მეტოქე იურგენ კლოპის თავკაცობით 28 მაისს მორიგ ტიტულს შეუტევს პარიზში, სადაც ფინალში ყველაზე პრესტიჟული კონტინენტური საკლუბო ტურნირის ჯერჯერობით 13-გზის ტრიუმფატორი მადრიდის „რეალი" ელის.

**იტალია.** ფედერიკო კიეზას ტრავმა საბედისწერო აღმოჩნდა ტურინის „იუვენტუსისთვის", თუმცა მხოლოდ მისი არყოფნა ოდნავადაც არ გამოდგება „ბებერი ქალბატონის" მიერ ყველა ფრონტზე პოზიციების დათმობის გამამართლებელ საბუთად, რასაც „სკუადრა აძურას" ზედიზედ მეორედ მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩენაც დაემატა. არადა, შარშან ევროპის ჩემპიონატის მოგების შემდეგ აპენინელთა გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს — კრიზისი დაძლეულიაო!

ამ ფონზე სკუდეტოსთვის ბრძოლაში ამბიციური ტრიო ჩაება, მაგრამ მათ „ნაპოლი", სადაც ზაფხულში ხვიჩა კვარაცხელია გადავა, მალევე ჩამორჩა და ოქროს მედლების ბედი ბოლო ტურში მილანური დუეტის დაუსწრებელ დუელში გადაწყდება, მანამდე კი „მილანი" 2 ქულით უსწრებს „ინტერს".

**ესპანეთი.** ზემოთ უკვე ნახსენებმა „სამეფო კლუბმა" დიდი უპირატესობით გაინაღდა ვადამდელი გამარჯვება ლა ლიგაში, ასე რომ, კარლო ანჩელოტის შეგირდებს საფუძვლიანი პრეტენზია გააჩნიათ დუბლის შესასრულებლად.

რაც შეეხება ლეო მესის წასვლით დაობლებულ „ბარსელონას", მართალია, სტარტზე უამრავი ძვირფასი ქულა გაფლანგა, მაგრამ ხავი ერნანდესის მიწვევა მთავარი მწვრთნელის პოსტზე საოცარი მეტამორფოზის დაწყების ტოლფასი გამოდგა — გუნდმა სავსებით მისაღები მეორე პოზიცია დაიკავა, რასაც ბევრი ახალი ეპოქის დაბადების სადარ ფაქტად თვლის.

ჩვენთვის არანაკლებ ფასეულია უნიჭიერესი მეკარის გიორგი მამარდაშვილის დაწინაურება „ვალენსიას" ძირითად შემადგენლობაში, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი „ჯვაროსანთა" ლიდერიც გახდება.

**გერმანია**. როგორც თითქმის ყოველთვის, მიუნხენის „ბაიერნმა" მოსპო ბუნდესლიგის ლაურეატობის ინტრიგა და საოცარი მხოლოდ ისაა, როგორ ვერ უწიეს რობერტ ლევანდოვსკიმ და „რეკორდმაისტერის" დანარჩენმა ვარსკვლავებმა 100-გოლიან ზღვარს.

ჩვენთვის საყურადღებო პლეი-ოფის მონაწილე გახდა გიორგი ჩაკვეტაძის „ჰამბურგი", რომელიც ელიტაში დასაბრუნებელ ორრაუნდიან ბრძოლას ბერლინის „ჰერტასთან" გამართავს, თუმცა, სამწუხაროდ, მომავალი მძაფრი ბატალიები სავარაუდოდ ქართველი ლეგიონერის გარეშე ჩაივლის, რადგან იგი ბოლო დროს ძირითადად სათადარიგოთა სკამს „ხეხავს".

**საფრანგეთი.** გყავდეს ლეო მესი, ნეიმარი, კილიან მბაპე და კვლავ ვერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა? — რასაკვირველია, „სიტის" მსგავსად, „პარი სენ-ჟერმენის" ლოკალური მნიშვნელობის წარმატებები, თუნდაც ლიგა 1-ში ცალი ფეხით გამარჯვება, მაურისიო პოჩეტინოს გაწვრთნილთათვის პროგრესის საზომად ვერ ჩაითვლება, ამიტომაც გაისად იქ დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი.

კორტზე

# ელიტურ ხუთეულში

**ნოვაკ ჯოკოვიჩი მეხუთეა ჩოგბურთის ისტორიაში ჯიმი კონორსის, როჯერ ფედერერის, ივან ლენდლისა და რაფაელ ნადალის შემდეგ, ვინც კარიერაში მე-1000 გამარჯვება მოიპოვა.**

მსოფლიოს რეიტინგის 34 წლის სერბმა ლიდერმა 636 მეტოქე ჰარდზე დაამარცხა, 252 — გრუნტზე, 102 — ბალახზე და 10 — ხალიჩაზე. რაც შეეხება ტურნირების რანგს, წარმატებათა ნუსხა ასე ნაწილდება: 380 — მასტერსი, 323 — დიდი სლემი და 297 — სხვა.

პრესტიჟული 1000-იანთა კლუბის ყველაზე ასაკოვან წევრს ახალი მიღწევისათვის 1203 შეხვედრის გამართვა დასჭირდა, რაც ფედერერის შემდეგ მეორე მაჩვენებელია. დავძენთ, რომ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა რომის მასტერსის ნახევარფინალში ნორვეგიელი კასპერ რუუდის დამარცხების შემდეგ მოხდა, ხოლო ფინალში ბერძენი სტეფანოს ციციპასის ძლევით „ნოლემ" კარიერაში 87-ე ტიტული მოიხვეჭა, აქედან მე-6-ე — რომში.



**ჯერ კიდევ როდის! საუკუნეების წინ დაწერა შექსპირმა „66-ე სონეტი“... მაშინ არც ნეოლიბერალიზმის ბინძური ღვართქაფი ესხმოდა თავზე ევროპას და არც პედერასტებსა და მამათმავლებს ანიჭებდნენ რაინდის წოდებას, მაგრამ ახლა რომ ვკითხულობ „66-ე სონეტს“, ასე მგონია, მისი ყოველი სტრიქონი თითქოს გუშინ საღამოს დაუწერიაო გენიალურ მესიტყვეს. ეს ან კლასიკის დამახასიათებელი ნიშანია იმისა, რომ ყველა დროში შეურყეველ ჭეშმარიტებად დარჩეს, ან ეკლესიასტე ღაღადებს უდავო სიბრძნეს – „რაც იყო, ის არის, რაც არის, ის იქნება!“ არ ვიცი, არ ვიცი! მაგრამ მე მაინც იქით ვიხრები, რომ წუთისოფელი ომია, ბოროტისა და კეთილის ომი, როდესაც ერთთან სატანა დგას, მეორესთან – უფალი და ხან ერთია აღზევებული, ხან – მეორე.**

არავინ იფიქროს, რომ უფალი და სატანა თანაბარი ძალისა მგონია, რადგან მათ ჭიდილში ხან ერთია აღზევებული და ხან მეორე. არა! უფალი სიკეთეა, შემოქმედი და სიცოცხლის მომნიჭებელი, ამიტომ, „არსება მისი გრძელია“. სატანა დამღუპველია და მისი ძალა უპატრონო სულებზე გაბატონებაშია. სად ნახულობს სატანა უპატრონო სულებს? იქ, სადაც ადამიანები ამპარტავნებისა და სიხარბის გამო უფალს შორდებიან, ისინი სატანას უვარდებიან კლანჭებში. უფალი მოძალადე არ არის და ძალით ვერ დაიბრუნებს განდეგილ შვილებს, ხოლო ვინც დაბრუნდება („ძე შეცდომილი!“) სიყვარულით მიიღებს თავის წიაღში.

ახლა სწორედ ის დროა, როცა უფლის მადლისგან განიძარცვნენ მთელი ხალხები და სახელმწიფოები და მათდა უნებურად სატანის მონებად იქცნენ, მათში ადამიანურობა მოკვდა და ვერც ცხოველებად გარდაისახნენ, რატომ? იმიტომ, რომ ცხოველს მისთვის დამახასიათებელი ბუნება აქვს და იგი არასოდეს ღალატობს მას: მგელი ვერსასოდეს მოიქცევა ცხვარივით, ან ირემივით და ვერც ისინი მოიქცევიან მგელივით, ამიტომ ცხოველის ქცევა ნებისმიერ ვითარებაში პროგნოზირებადია, ადამიანობადაკარგული არსებების ქცევის პროგნოზირება შეუძლებელია. არავის შეუძლია იწინასწარმეტყველოს ის, თუ როგორ ვითარებაში როგორ მოიქცევა ადამიანობაგამოცლილი არსება – მგელივით, თუ გველივით, ლომივით, თუ ვირთხასავით, ცხვარივით, თუ ქათამივით.

აი, ამგვარი პროცესებია ასახული **ზესიკ კეკელიძის** ახლახან გამოცემულ ორტომეულში „66-ე“. მასში ზუსტად ის უბედურებაა ნაჩვენები, რაც შექსპირის „66-ე სონეტის“ შინაარსშია აკუმულირებული.

ორტომეულის პირველივე მოთხრობიდან („მზის მონოლოგი“) შემოდის ჩვენში სევდით გაჟღენთილი მძაფრი ემოცია, რომელიც იმდენად წამლეკავია, რომ შეიძლება წიგნის შემდგომ კითხვაზეც კი აგაღებინოს ხელი. აბა, რა იქნება, ამას რომ წაიკითხავ და მიხვდები: ამას ხომ მეც ვხედავდი და ვწუხდიო. აი, იმას ვხედავდი და ვწუხდი, რაც შენ ახლა თვალწინ დამიყენე მწერალო: **„ფარისეველთა მუხლმოდრეკილი, ჭმუნვააღვსილი ჯოგი ტაძრებს შესევია და ღვთისმოსავობას ისე შეექცევა, როგორც მგელი ნანადირევს. ამპარტავანთა მდინარეებს მიწა დაუტბორავთ, ლაღად მოდუდუნებენ და სიცოცხლით კი არ ხარობენ, არამედ საკუთარი თავით ამ სიცოცხლეში...“**

ადამიანის სევდა გადამდებია, თუ ის მართლა სევდაა და არა მოგონილ-გათამაშებული. ასეთი ფსევდო „სევდა-ნაღველები“ ბევრი გვინახავს, უფრო მეტი კი მოგონილი „ოპტიმიზმი“ და „ჰეროიკული აღტკინებანი“, რაც ზიზღსა და აპათიას იწვევს ამ „ოპტიმისტებისა“ და „ჰეროვნულად აღტკინებულების“ მიმართ. ზესიკ კეკელიძის სევდა ნამდვილია და ხალასი, რაც შექსპირული ტრაგიზმით გაჟღენთილი ჩვენი „კოჭლი დროების“ შედეგი კი არ არის მხოლოდ, არამედ მისი სულის შეუხორცებელი იარის გამოძახილიცაა. ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, ბედნიერებაა, რომ ნამდვილ შემოქმედს დიდი სულიერი ტკივილი კი არ აბოროტებს, არამედ იმედის ნაპერწკალს უღვივებს, რაც ჩვენზეც გადმოდის და ხვალის მოლოდინს გვიმძაფრებს. ამ მინიატიურული მოთხრობის ბოლო წინადადება ასეთი ნაპერწკალია ჩემთვის: **„მე ჩავდივარ და დამაკვირდით, როგორ ჩადის დაქანცული მზე, რათა დილით კვლავ დაიბადოს.“**

დილით მზის „კვლავ დაბადებაში“ რა იგულისხმა ავტორმა არ ვიცი, მაგრამ მე აქ რწმენის განახლებას ვხედავ, ანუ უფალთან მიბრუნება-მიახლოებას. უამისოდ შეუძლებელია იგრძნო სიკეთის, როგორც მადლის ძალა და ხიბლი. ახლა რასაც ვიტყვი, მავანს შეიძლება დიდ უტაქტობად მოეჩვენოს, მაგრამ მაინც ვამბობ, რადგან ის რაც ჩემთვის ჭეშმარიტებაა, იმას ყოველგვარ ტაქტსა და ეტიკეტზე მაღლა ვაყენებ. მაშ, აი რა ჭეშმარიტების აღიარებას ვაპირებ: ათეისტი ვერასოდეს იგრძნობს იმ მადლს, რაც ჭეშმარიტი ხელოვნებისა და ლიტერატურიდან მოედინება. სამწუხაროდ, ამას გვიან მივხვდი!

აი, ამ ორტომეულის ავტორი ზესიკ კეკელიძე, როგორც ჩანს, ღრმად მორწმუნეა, რაც აშკარად ჩანს სიკეთისა და ბოროტების მისეული აღქმის მთლიანობაში და ასეთი განცდა მეუფლება მეც, მის მკითხველს და, ჩემი რადიკალიზმის მიუხედავად, რაღაც სიბრალულს უფლის უარმყოფელებისა და ღმერთთან გატოლების პრეტენზიის მქონეთა მიმართაც ვგრძნობ, ავტორთან ერთად, რა თქმა უნდა **(„ლაზარეს გამოცხადება“).**

**ძნელი დრო გვიდგას, იმიტომ კი არა, რომ გაჭირვებაა, ყოვლად უაზრო და არსაიდან მოსული; არც იმიტომ, რომ ჩვენი სიდუხჭირის ვინაობას და სადაურობას არავინ კითხულობს, თითქოს ირგვლივ მაზოხისტები გვახვევიან, რომლებსაც იქნებ ეამაყებათ კიდეც თავიანთი სიგლახე. არა! რატომ იცით? „გაძარცვულ კაცსა გაძარცვული არ ეთქმის, თუ კი ვერას გაიგებს და დანაკარგს არ მოიკითხავს“ (შექსპირი). ჩვენში არავინ კითხულობს დანაკარგს. რაღაცას კი ეძებენ, მაგრამ ერთი კინტოსი არ იყოს, იქ არ ეძებენ, სადაც უნდა ეძებდნენ, რადგან არ იციან რა და სად დაკარგეს. იმ კინტოს საქმე ცოტა სხვაგვარად იყო: ფული ჩუღურეთში დაკარგა და გოლოვინის (რუსთაველის) გამზირზე ეძებდა. პოლიციის ბოქაულმა რომ კითხა რას ეძებო, დაკარგულ საფულეს ვეძებო, – უპასუხა. სად დაკარგე თუ გახსოვსო, – ბოქაულმა. როგორ არა, ჩუღურეთშიო, – ყოჩაღად უპასუხა კინტომ. მერე აქ რატომ ეძებო,** – გაიკვირვა ბოქაულმა. იმიტომ, რომ იქ ბნელა, გალავინსკი კი განათებულიაო.

აი, ასეა ჩვენი ხალხის საქმე. რაღაცა რომ სჭირდებათ და უნდა ეძებონ, იციან, მაგრამ იქ კი არ ეძებენ, სადაც პოვნის შანსი და შესაძლებლობა აქვთ, არამედ უცხოეთში, კარგად განათებულ და გულმოდგინედ დაგვილ ქალაქებში. აი, ეს არის კინტოს ლოგიკა, მაგრამ არც ეს არის ჩვენი სიდუხჭირის მთავარი მიზეზი. მთავარი მიზეზი საყოველთაო სავალდებულო სიცრუეა. ყველა ცრუობს – დიდი და პატარა, მენაგვე და აკადემიკოსი, პრეზიდენტი და მეღორე, ქურდი და მოსამართლე, ქალი და კაცი, ერი და ბერი.



## „...რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად!..“





მასობრივ, ტოტალურ სიცრუეში თავიან-ფეხებიანად ჩაძირული საზოგადოება რომ დაისჯებოდა, ძნელი გამოსაცნობი არ იყო, მაგრამ სახარებისეული სენტენციისა არ იყოს, „თვალნი აქვთ და ვერაფერს ხედავენ, ყურნი აქვთ და არაფერი ესმით“. რვა საუკუნის წინ გვაფრთხილებდა დიდი რუსთაველი: „სიცრუე და ორპირობა ავნებს სულსა, მერმედ ხორცსა“-ო. სულს დიდი ხანია ავნო ამ სიცრუემ, მაგრამ ვერ მიხვდა კაცობრიობა ამას, ახლა, როდესაც ვნება აშკარად დაემუქრა ხორცს, რაც საგნობრივი და თვალსაჩინოა, ნუთუ ახლაც ვერ მოვდივართ აზრზე, იმის მიუხედავად, რომ ჭეშმარიტი და პატიოსანი, ღვთის გზაზე შემდგარი მწერლები გვაფრთხილებდნენ და გვაფრთხილებენ დღესაც. ამის მაგალითი წინ მიდევს ზესიკ კეკელიძის ორტომეულის სახით. **„თვალებში გიყურებენ – ერთს გელაპარაკებიან, მეორეს ფიქრობენ და მესამეს აკეთებენ. ამაში ნიღაბთა კოლექცია ეხმარებათ. ყოველი ვითარების შესაბამისი გარესაფარველი გააჩნიათ, იცვლიან როგორც ცხვირსახოცებს და თამაშობენ და თამაშობენ. ყველგან სცენა აქვთ მოწყობილი: საკუთარ კაბინეტში, მეგობრებთანაც, მტერთან და მოყვარესთანაც, შვილთან და საწოლში ცოლთანაც. კარგად გამოსდით, მაგრამ როცა ფიქრობენ – ვდგავართო, სწორედ მაშინ ავიწყდებათ, რომ შეიძლება ვინმემ ნიღაბი ჩამოგლიჯოს და მათი უსახურობა გამოაჩინოს.**

ყოველი საღამო კი ყველას აფრთხილებს: მემენტო მორი! („ბრძენი სიჩუმე“).

ეს მინიატიურული მოთხრობა ასე მთავრდება: **„ბრძენი სიჩუმე ყველაფერს ხედავს, ყოველივეს აღიქვამს და ყოველივეს ითმენს...“**

რას გულისხმობს ავტორი „ბრძენ სიჩუმე“-ში?

იმის უფლებაც მაქვს და საშუალებაც, პირდაპირ ვკითხო ავტორს, რას გულისხმობ-მეთქი „ბრძენ სიჩუმეში“? მაგრამ არ ვკითხავ, რადგან ვაჟა-ფშაველასავით არ მიპასუხოს იქნება. გახსოვთ, ალბათ, ვაჟას რომ ჰკითხა მკითხველმა, რას გულისხმობ, ვაჟავ, დაჭრილ არწივშიო. მთვრალი იყო დიდი ვაჟა, უპასუხოდ რომ დატოვა ნამეტნავად ცნობისმოყვარე მკითხველი და ზესიკ კეკელიძეც მართალი იქნება რომ არ მიპასუხოს. ამიტომ, თავს არ შევირცხვენ და არ ვკითხავ, მით უფრო, რომ მჯერა, „ბრძენ სიჩუმეში“ უფალი იგულისხმება. ის არის სწორედ, ვინც ყველაფერს ხედავს, ყველაფერი ესმის და ყველაფერს ითმენს. გულთამხილველია და იმიტომ, მაგრამ ყოვლისმოყვარულია და არ შეუძლია მამაღმერთის უარმყოფელი და განდგომილი „ძე შეცდომილი“ დასაჯოს. უფლის მადლის უარმყოფელი „ძე შეცდომილი“ საკუთარი ცოდვების გამო სატანის კლანჭებშია ჩავარდნილი და მისი სასჯელიც ეს არის! მისი ხსნა მხოლოდ უფალთან მიბრუნება და სინანულია!

ზესიკ კეკელიძის პერსონაჟების სვე-ბედი სწორედ ასეთი მაგალითების დემონსტრირებაა, იმის ჩვენებაა, რომ ადამიანური ბედნიერება და სიმშვიდე მამონას მონობასიც კი არა, უფლის გულწრფელ სიყვარულსა და ერთგულებაშია, თუნდაც იგი განსაცდელთან იყოს დაკავშირებული („კეთილმოწესე ბერი“, „ლიმონი“, „შეუწყალებელი შეწყალება“...)

ამ ორტომეულის კითხვისას, სხვათა შორის, ერთი განცდა გამიმძაფრდა მოულოდნელად: ძალიან დიდი ხანი მაწუხებდა ერთი დილემა: „ათეისტი შეიძლება ზნეობრივი იყოს თუ არა?“ აქ „ათეისტში“ ღვთისმგმობს, ანუ მებრძოლ ათეისტს კი არ ვგულისხმობ, არამედ იმას, ვისაც უფლის არსებობა არ სწამს და ყველაფერს მატერიალისტურ ახსნას უძებნის და რაც ამ გზით არ აიხსნება, იმის არსებობას უარყოფს. მე მაინც იქით ვიხრებოდი, რომ სრულყოფილი ზნეობრიობა მხოლოდ ღვთისმორწმუნე ადამიანებს ახასიათებთ. ამ წიგნში წაკითხულმა ნაწარმოებებმა სრულად განმიმტკიცა იმის განცდა, რომ შეუძლებელია ათეისტის ზნეობრიობა ბოლომდე გარანტირებული იყოს. ისე, რომ ჩემს ცნობიერებაში დიდხანს არსებული დილემა გაქრა და ამ მხრივ შვება ვიგრძენი („უსასრულობა“, „ღვთის მადლი“).

მკითხველი შეამჩნევდა, ალბათ, ორივე ტომის ყდების მეოთხე გვერდზე ასეთი, ცოტა უცნაური ფრაზაა გამოტანილი: **„გარდაცვალების შემდეგ ყოველი ჩვენგანი მორწმუნე ხდება, მაგრამ...“** თანაც წინადადების დასრულება ჩვენ მოგვანდო ავტორმა: „მაგრამ...“

ჯერ ის ვთქვათ, რატომ არიან გარდაცვალების შემდეგ ურწმუნონი მორწმუნეები. რატომ და, გარდაცვალების შემდეგ იმას ხედავენ, რისიც სიცოცხლეში არ სჯეროდათ. განკითხვაც მოევლინებათ და საკუთარი ცოდვების სიმძიმესაც იგრძნობენ და მადლის სიმსუბუქესაც. ამიტომ ხდებიან მორწმუნეები, მაგრამ... დაგვიანებულია ალბათ, თუმცა დაბეჯითებით ამის თქმა არ შემიძლია. არც ავტორს შეეძლო ეთქვა, თუ გაემხილა ჩვენთვის წინადადების დასასრული, თორემ მრავალწერტილს არ დასვამდა. სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლო აუხსნელია მოკვდავთათვის.

სამწუხარო რეალობაში ვართ! მთელი ქვეყანა ხომ არ უნდა ამოწყდეს, უფლის რწმენა და ზნეობა რომ დაიბრუნოს ხალხმა! არა და, ისე ამ ცოდვის ჭაობიდან თავს ვერ დავაღწევთ და არც სიკეთე გვეღირსება: დავრჩებით ასე **„არ რის მქონე, არ რის მცოდნე,.. მტრის ვერ მცნობი, მოყვრის მგმობი... გარეთ მხდალი შინ ძლიერი“ (ილია).** ასე იქნება, სწორედ **„რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად“ (შექსპირი).** ამიტომ ყვავის ამ კოშმარულ უდაბნოში უზნეოთათვის ედემი, თუმცა დროებით, რადგან სიცრუესა და სიყალბეზე აღმოცენებულ „ედემის ბაღს“ ხანგრძლივი არსებობა არ შეუძლია, ის მხოლოდ დროებით ილუზიას წარმოადგენს.

„ვირისთავი ლანგარზე რომ გაჩაღდეს,
მაშარაფით, სანთლით დაფნის რტოებით,
შეიძლება ორაგულად გასაღდეს,
ეს კი არის გასაღება დროებით“
(მურმან ლებანიძე)

ასეთია სიცრუისა და ჭეშმარიტების ლოგიკა. ასე, რომ, მეფე თუ შიშველია, ამას აუცილებლად იტყვის ვიღაცა და ხალხიც ძილბურანიდან გამოვა.

ბევრი ასეთი მხატვრული პროგნოზი, თუ მინიშნებაა ზესიკ კეკელიძის იმ ორტომეულში, რომელიც ერთი ხანია გადაშლილი ძევს ჩემს მაგიდაზე („ქოსმანთა ედემი“, „ჰიპოკრატეს ფიცი“, „მეძავი“).

ორტომეული მთავრდება რომანით „განუკითხავი“.

ძალიან საინტერესო ნაწარმოებია, მაგრამ ყველანაირი მკითხველისთვის კი არა, მხოლოდ იმათთვის, ვისაც ადამიანის ორსაწყისიანი ბუნების მეტამორფოზების მიზეზები და ფაქტორები აინტერესებს.

„განუკითხავი“ მრავალგანზომილებიანი რომანი არ არის, მაგრამ ბოროტისა და კეთილის განუწყვეტელი და სასტიკი ბრძოლის პრიზმაში საგნობრივად არის დანახული ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი ეროზიის მთელი ამაზრზენი სურათი.

მამონა თავისი „სიტკბოთი გაჟღენთილი“ საცეცებით ნაბიჯ-ნაბიჯ ითრევს მსხვერპლს უძირო და მყრალ ჭაობში. ამ სიმყრალესა და სასიკვდილო ხაფანგს მაშინ იგრძნობს მამონას მონა, როდესაც სასოება არსაიდან ჩანს და ჯოჯოხეთური ტანჯვის მარწუხები მყარად აქვს შემოსალტული. ასეთ დღეში არიან „განუკითავის“ პერსონაჟები, რომლებსაც ჩვენ, მკითხველები, ძალიან კარგად ვიცნობთ, უფრო მეტიც, ვთანამშრომლობთ მათთან, რაც დიდი ცოდვის ტვირთია და იგი უსათუოდ მოგვეკითხება, როდესაც როგორც „ძე შეცდომილი“ დავუბრუნდებით მამას და ისიც მიგვიღებს თავის წიაღში. „გარდაცვალების შემდეგ, ყოველი ჩვენგანი მორწმუნე ხდება,“ – როგორც ავტორმა ივარაუდა, მაგრამ „მაგრამის“ გარეშე.

**თანამედროვე ქართველი მწერლების შემოქმედებას სრულად ვიცოგ-მეთქი, ვერ ვიტყვი, რადგან დღეს ვინც ოცდაცამეტი ქართული ასო იცის, ყველა „მწერალია“ და ჯადოქარი უნდა იყო, რომ ამდენ „მწერალში“ წაუკითხავად გამოიცნო მართლა მწერალი. ყველას წაკითხვა თუ მოინდომე, მაშინ ნაგვით აგივსია თავი და ეგ არის. ამის მიუხედავად, ჩემი მკითხველური გამოცდილების საფუძველზე ვიტყვი, რომ უზნეობისა და ზნეობრიობის, ანუ ბოროტებისა და სიკეთის ჭიდილის ისეთი რეალისტური სურათი არავის დაუხატავს, როგორც ეს ზესიკ კეკელიძის „განუკითხავშია“ ნაჩვენები. მთავარი კი ის არის, რომ დღემდე „მითიური“ სატანა ამ რომანში რეალურ არსებად (არსებებად) არის წარმოდგენილი, რომლებსაც, სამწუხაროდ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ჩვენს გაუკუღმართებულ რეალობაში.**

ღვთისნიერ ადამიანს არასოდეს ტოვებს იმედი. ზესიკ კეკელიძეც ღვთისნიერი მწერალია, ამიტომ მისი რომანის ბოლო სტრიქონები იმედიანად გვტოვებს:



**„ზენონი საძმოს წევრებს დაემშვიდობა და მანქანაში მეგობრის საკაცის გვერდით დაიკავა ადგილი...**

**უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“.**

**ზურაბ ცუცქირიძე,**
პედაგოგიკის დოქტორი



## ირაკლი ღარიბაშვილი:

# ხორბლის და ფქვილის საკმარისზე მეტი მარაგი არსებობს!

**საკმარისზე მეტი მარაგი არსებობს ფქვილის, ხორბლის მარაგიც არსებობს ქვეყანაში და სულ რაღაც ერთ თვეში, თვე-ნახევარში, ჩვენც ხორბლის მოსავალს ავიღებთ, შესაბამისად, არავითარი აჟიოტაჟის საფუძველი არ არის,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, სადაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრისგან, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ხორბალთან და ფქვილთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, აჟიოტაჟი იყო ხელოვნურად გამოწვეული და ქვეყანას დღეს ამ მიმართულებით პრობლემა არ აქვს.

# რამდენი იქნება საპენსიო სესხის პროცენტი და რომელი ბანკი გასცემს მას?!

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ აზარაშვილი აცხადებს, რომ საპენსიო სესხი რეფინანსირების განაკვეთს მიებმება და 15% იქნება.**

მისი თქმით, ტენდერში „ლიბერთი ბანკმა" გაიმარჯვა და პენსიებს კვლავ ის გასცემს.

**„დასრულდა ტენდერი, რომელიც გამოცხადებული გვქონდა ჩვენი პენსიონერებისთვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პირობებით. ტენდერში გაიმარჯვა იგივე ბანკმა, „ლიბერთი ბანკმა", რომელიც წლებია ემსახურება პენსიონერებს. ეს მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება და ინფრასტრუქტურა. პირობა იყო 7-წლიანი მომსახურების შესახებ. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ის სესხები, რომლებსაც პენსიონერებისთვის გასცემენ, მიბმული იქნება რეფინანსირების განაკვეთზე და იქნება მაქსიმუმ +15%, რომელიც დღეის მდგომარეობით უკვე 25,8%-ია, ნაცვლად 30,6%-ისა, რომელიც ჰქონდათ. გამომდინარე იქიდან, რომ რეფინანსირების განაკვეთის შემცირების მოლოდინები გვაქვს, ეს განაკვეთიც მნიშვნელოვნად შემცირდება და ამ წლების განმავლობაში კიდევ უფრო გაუიაფდებათ პენსიონერებს სესხი და მომსახურების პირობები",** — განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

ტენდერში გამარჯვებული ბანკი მომსახურებას 7 წლით ვადით — 2023 წლის პირველი იანვრიდან 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გასწევს. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დაასახელა, როგორ მცირდებოდა საპენსიო სესხების საპროცენტო განაკვეთი წლიდან წლამდე:

**„2012-2013 წლებში იყო სესხები, რომლებიც 100%-დან 200%-მდე ეფექტური განაკვეთით გაიცემოდა;**

**2014 წელს სესხები გაიცემოდა 53%-იანი ეფექტური განაკვეთით, თუმცა გარკვეული სესხები — 80%-იანი ეფექტური განაკვეთის ფარგლებში;**

**2015 წელს საშუალოდ 50%-იანი ეფექტური განაკვეთით გაიცემოდა სესხები, რიგ შემთხვევებში 80%-ის ეფექტური განაკვეთით;**

**2016 წლიდან მოყოლებული ეტაპობრივად იკლებს პორტფელზე საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი; 2017 წლის ბოლოსთვის პორტფელზე საშუალოდ 49,6-დან 41,7%-მდე შემცირდა.**

**2018 წლის მაისიდან ბანკი იწყებს ისევ პროცენტის შემცირებას და 42 ეფექტურიდან 33 ეფექტურამდე მცირდება".**

**საქართველოში 800 ათასამდე პენსიონერია, მათ თითქმის ნახევარს საპენსიო სესხი აქვს აღებული.**

# „განვიხილავთ იაფი წყაროებიდან საწვავით მომარაგების შესაძლებლობებს"

**„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საწვავის ბაზარზე გვქონდეს სრულფასოვანი, კონკურენტული გარემო და შესაძლებელი იყოს გაძვირებული საწვავის მოსახლეობისთვის მაქსიმალურად იაფ და ხელსაყრელ პირობებში მიწოდება. შექმნილი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან, საომარი ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც რეგიონშია, სამწუხაროდ, მსოფლიოში ფასები საწვავზე არის ძალიან მაღალი და გვესმის, რომ გლობალურ ტენდენციას საქართველო ვერ აცდება, მაგრამ ჩვენი მიზანია, მაქსიმალური კოორდინაციით მოხდეს იაფი წყაროებიდან საწვავით მომარაგება, ასევე მარჟების მინიმუმამდე დაყვანა იმისთვის, რომ ჩვენს მოსახლეობას მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობებით მივაწოდოთ საწვავი",** — ამის შესახებ ლევან დავითაშვილმა საწვავის დისტრიბუტორ მცირე ქსელების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა.

ლევან დავითაშვილის თქმით, მცირე ქსელების წარმომადგენლებთან განიხილეს საწვავის ბაზარზე არსებული სიტუაცია და პროგნოზები. ვიცე-პრემიერის ინფორმაციით, კომუნიკაცია მიმდინარე კვირაში გაგრძელდება საწვავის უფრო მსხვილი ქსელების წარმომადგენლებთან.

# ქართული ღვინო გერმანიაში...

**ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ასოციაციის „ქართული ღვინო" ორგანიზებით, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში, გამოფენაზე „ ProWein-2022" ქართული ღვინის 24 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინოებია წარმოდგენილი.**

სამი დღის განმავლობაში, ღვინის პროფესიონალებს, ექსპერტებს, მედიის წარმომადგენლებსა და გამოფენის სტუმრებს ქართული ღვინის გაცნობისა და შეფასების შესაძლებლობა აქვთ. ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისა და გაყიდვების ზრდისთვის, გამოფენაში „ProWein" მონაწილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

**გამოფენის ფარგლებში, პრესტიჟული გერმანული მედია ჰოლდინგის „ Meininger" სტენდთან, ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი „საქართველო — ღვინის სამშობლო" გაიმართა, რომელსაც სომელიე და ღვინის ექსპერტი ინგე მაინცერი (Inge Mainzer) უძღვებოდა. აღნიშნული ღონისძიება კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ქართული ღვინის ცნობადობის გასაზრდელად როგორც გერმანიაში, ისე ზოგადად ევროპაში.**



# დიდი მკვლევარი, ვალმოხდილი მამულიშვილი

## აკადემიკოს ვახტანგ კოკილაშვილის არდავიწყება

ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, აკადემიკოსი ვახტანგ კოკილაშვილი.

მის მიერ მიღებული შედეგები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ფუნქციათა თეორიასა და ფუნქციონალურ ანალიზში. განუზომელია მისი წვლილი ჰარმონიული ანალიზის, წონიანი ფუნქციური სივრცეების, ოპერატორთა თეორიის, ფუნქციათა აპროქსიმაციის თეორიის, ანალიზურ ფუნქციათა თეორიისა და მათემატიკური ფიზიკის დიფერენციალურ განტოლებათა სასაზღვრო ამოცანების მიმართულებებით. მის სახელს უკავშირდება ორწონიანი ამოცანის ამოხსნა პოტენციალის ოპერატორებისათვის. აღნიშნული შედეგი მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა მიერ აღიარებულია, როგორც უმნიშვნელოვანესი გარღვევა ინტეგრალურ ოპერატორთა წონიან თეორიაში. ბოლო პერიოდის მანძილზე ვახტანგ კოკილაშვილის მოღვაწეობა უკავშირდება არასტანდარტული ფუნქციური სივრცეებისა და მათში მოქმედი ჰარმონიული ანალიზის ოპერატორთა ასახვის თვისებების, ახალ ფუნქციურ სივრცეებში ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევას. მან შემოიღო ზოგიერთი ახალი ფუნქციური სივრცე და წარმატებით გამოიკვლია მათში მოქმედი ინტეგრალური ოპერატორების თვისებები. მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში კარგადაა ცნობილი ვახტანგ კოკილაშვილის სამეცნიერო ჯგუფი, რომლის სახელსაც უკავშირდება მნიშვნელოვანი შედეგები არასტანდარტული ფუნქციური სივრცეების მიმართულებით.

ვახტანგ კოკილაშვილი დაიბადა 1938 წელს ქ. თბილისში, პედაგოგების ოჯახში. 1959 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. 1990 წლიდან იყო ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების გამგე, 1989-2006 წლებში კი - ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

1997 წელს ვახტანგ კოკილაშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2013 წელს — აკადემიის ნამდვილ წევრად. წლების განმავლობაში იყო აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების ბიუროს წევრი, ხოლო 2014-2019 წლებში — განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. 1986 წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია.

აკად. ვ. კოკილაშვილი ავტორია 270-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და 9 მონოგრაფიისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ისეთ წამყვან სამეცნიერო გამოცემებში, როგორიცაა „Kluwer", „Birkhauser", „Addision Wesley Longman", „World Scientific", და სხვ. მისი შედეგები ციტირებულია მრავალი გამოჩენილი მეცნიერის მიერ. ვახტანგ კოკილაშვილი იყო საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები"-ს მთავარი რედაქტორი, „საქართველოს მათემატიკური ჟურნალი"-სა და სხვა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ვახტანგ კოკილაშვილი მონაწილეობდა მრავალი დიდი სამეცნიერო ფორუმის მუშაობაში, იყო მსოფლიო მათემატიკოსთა კონგრესის (ICM 2014) რეგიონალური ელჩი, მსოფლიო მათემატიკოსთა კონგრესების (1966, 1998, 2002, 2014, 2018) მონაწილე და სხვ.

მნიშვნელოვან სამეცნიერო კვლევებთან ერთად ვ. კოკილაშვილი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. ის იყო 10 საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი და 3 სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო კონსულტანტი. ვ. კოკილაშვილი იყო საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის აქტიური წევრი.

გამორჩეული იყო ვახტანგ კოკილაშვილის პიროვნული ღირსებებიც. იგი მაღალ პროფესიონალიზმსა და პრინციპულობასთან ერთად გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობით, სამართლიანობითა და ობიექტურობით, კოლეგებისა და მოწაფეების მიმართ ყურადღებიანი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით, რითაც მან მათი უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ვახტანგ კოკილაშვილი სიცოცხლის ბოლომდე გასაოცარი ენერგიით, დაუღალავად და ნაყოფიერად ემსახურებოდა მათემატიკურ მეცნიერებას. ის ძალიან დააკლდება თავის კოლეგებსა და მოწაფეებს.

აკადემიკოს ვახტანგ კოკილაშვილის — ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი პიროვნების, დიდი მკვლევარისა და შესანიშნავი მამულიშვილის ღვაწლსა და ამაგს მუდამ პატივისცემით მოიხსენიებენ და დააფასებენ მისი კოლეგები, მოწაფეები, მეგობრები და ახლობლები.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,**
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი**

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი

## ვახტანგ კოკილაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი 18 მაისს, 17 საათზე, მისამართი: ნუცუბიძის ქ. № 60, I სართ.
გამოსვენება — 19 მაისს, 15 საათზე (ბინიდან).



# ირაკლი ღარიბაშვილის მწუხარება არმაზ სანებლიძის გარდაცვალების გამო

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის არმაზ სანებლიძის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.**

**მთავრობის მეთაური არმაზ სანებლიძის ოჯახს, მეგობრებს და კოლეგებს სამძიმარს უცხადებს.**

**„მწუხარებას გამოვთქვამ ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის არმაზ სანებლიძის გარდაცვალების გამო. ასეთი გამორჩეული პიროვნებისა და სამაგალითო პროფესიონალის დაკარგვა დიდი დანაკლისია როგორც ქართული ჟურნალისტიკისთვის, ისე მთელი საზოგადოებისთვის. ვუსამძიმრებ ბატონი არმაზის ოჯახს, მეგობრებსა და კოლეგებს“, — ნათქვამია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაში.**

**ჟურნალისტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე არმაზ სანებლიძე 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი იყო საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ყოფილი მთავარი რედაქტორი.**

# არმაზიც წავიდა

რა თქმა უნდა, გამოსათხოვარი შემეძლო ახლიდან დამეწერა, მაგრამ ვიფიქრე, ჯობს ისევ ადრინდელი...

იმიტომ კი არა, მოსაგონარი ნაკლები მაქვს... იმდენი რამ შემიძლია გავიხსენო, რომ...

ჯერ კომკავშირი, სტუდენტთა განყოფილება და დედაუნივერსიტეტი... „ახალგაზრდა კომუნისტი“...

შვიდი წელი ერთად ვზიდეთ ჭაპანი ტელერადიოკომიტეტში. ჩემი წასვლის შემდეგ ის გახდა თავმჯდომარე და თითქმის სამი წელი ატარა ეს ვეებერთელა ტვირთი, მავანს რომ დღესაც ნამეტნავად მსუბუქი ჰგონია. თანაც რა დროს, ჩინელების წყევლისა არ იყოს, შენ იცხოვრე გარდაქმნების (ცვლილებების) დროსო...

კლინიკაში დაწოლამდე, წინა დღეს, წიგნები გამომიგზავნა — რეზო გაბრიაძის საიუბილეოდ განახლებული და გამოცემული. ეს ჩვენი მორიგი(!) ერთობლივი (მისი, როგორც ავტორის და ჩემი, როგორც რედაქტორის) ნამუშევარი... შევთანხმდით მომავალ გეგმებზე და...

ეს ზარი და კონტაქტი უკანასკნელი აღმოჩნდა... ისევე, როგორც მისი დაბადების 86-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ეს განმეორებითი პუბლიკაცია (ემოციებით სავსე ამ წერილში არც არაფერი შემიცვლია).

ადრინდელია ეს გულწრფელი პუბლიკაცია. გავიმეორებ იმიტომ, რომ მაშინაც, მანამდეც, დღესაც იგივეს ვფიქრობ, იმავე გრძნობებით — სიყვარულით და პატივისცემით ვარ გამსჭვალული, ვიმედოვნებ, მის 100 წლამდე ასე გაგრძელდება. უკეთესად ველარც დავწერ.

## არმაზ სანებლიძე – 84

„18 თებერვალს არმაზ სანებლიძის დაბადების დღეა! 84 წლის გახდა ბატონი არმაზი, ჩემი უფროსი კოლეგა და ხუთ ათეულ წელზე მეტი ხნის მეგობარი.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის, ისევე, როგორც ამ ბოლო ოცი წლის ქართულ ჟურნალისტიკას ვერც კი წარმოიდგენ ამ გვარ-სახელის გარეშე.

შევახსენებთ იმ მედიასტრუქტურებს, რომლებსაც თავკაცობდა ბატონი არმაზი: გაზეთები — „მოლოდიოჟ გრუზიი“ და „ახალგაზრდა კომუნისტი“, საქართველოს ტელერადიოკომიტეტი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“... მართლაც რომ საამაყო სტრიქონებია მის ბიოგრაფიაში.

და მიუხედავად ამ რანგის ხელმძღვანელობის პრაქტიკისა, მას ერთი წუთითაც (არც მაშინ და დღესაც) არ შეუწყვეტია რეპორტიორისა და პუბლიცისტის („ასავალ-დასავალი“, „საქართველო და მსოფლიო“) შემოქმედებითი საქმიანობა. მისი ნამოღვაწარი ბარე 30-ზე მეტ წიგნად არის თავმოყრილი.

რისკიანი კაცია სანებლიძე. თანაც, როცა საქმე პროფესიულ პრინციპებს ეხება, საკმაოდ ჯიუტი. მიუხედავად აკრძალვისა (მისი „ბოსი“ როცა ვიყავი), მაინც მოახერხა და „გაშპა“ ავღანეთში, მონახა ქართველი მეომრები და იქიდან ამაღელვებელი რეპორტაჟები ჩამოიტანა. თუმც კრინტი არ დაუძრავს იმ სახიფათო მომენტებზე, რაც თავს პირადად გადახდა. შემდეგ კი გავიგე, რომ ბედმა, იღბალმა „გმირულ სიკვდილს“ გადაარჩინა...

ვიმეორებ, მიუხედავად ცეკას ხელმძღვანელობის მინიშნებით „უარისა“, ასევე, „თავი ამოჰყო“ ჩერნობილში, იქაც ჩააკითხა ქართველ ვაჟკაცებს და... მერე სისტემატურად ვაიძულებდი პროფილაქტიკის გავლას, რამეთუ ამ მივლინების დროსაც არ იყო გამორიცხული „აეკიდებინა“ რადიაცია...

ღვთით ბოძებული აქვს შემოქმედის ნიჭიერება. პოეტია! მისთვის „მოპარულ“ სტრიქონებზე, პოპულარული სიმღერაც კია შექმნილი. ფანტასტურად შრომისმოყვარე! დაუღალავი! სულით სპორტსმენი! ერთ-ერთი პირველი კარატისტი! ამ ბოლო დროს ცოტა „წაიწუწუნა“, თორემ უამინდობის დროსაც კი ცურავდა ღია აუზში. ფანტასტურად ყურადღებიანია! არ ავიწყდება მეგობრის საზრუნავი, პრობლემა, სატკივარი... კარგი მამა, მეუღლე, სიმამრი, ბაბუა... რაც ჩამოვთვალე იმის ნახევარიც კი საკმარისია მისადმი პატივისცემის, მოწიწების, სიყვარულის და ერთგულებისთვის.

და როგორც ერთხელ (როცა „მეგობრებად“ ვითვლებოდით), გამოჩენილმა საბჭოთა პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა გაგვაერთიანა ერთ ტერმინში — „ნუგზარმაზარი“. სიყვარულით ვულოცავ, მივესალმები ჩემს უახლოეს მეგობარს და დღეგრძელ სიცოცხლესთან ერთად ხელხვავიან შემოქმედებით ცხოვრებას ვუსურვებ.“

**P.S.** ამ ბოლო წლებში არაერთი უახლოესი მეგობრის, მათ შორის უსათნოესი მეუღლის მოულოდნელი დაკარგვით, ბატონმა არმაზმა უმძიმესი დარტყმა და ტკივილი გადაიტანა. გაუძლო ვაჟკაცურად, როგორც მის შეუპოვარ ბუნებას ჩვევია.

გაშოროს ტკივილი და სევდა, არ მოგკლებოდეს სითბო, სიხარული და სიყვარული, ჯანის სიმრთელე და გონების სინათლე, ძმაო არმაზ! მაგრად სდექ!

და ბოლოს: ფეისბუქი არ აქვს და კომენტარის გარდა ვისაც პირადად, თქვენი „სირინოზის ხმით“ მილოცვის სურვილი გაგიჩნდეთ, გაწვდით მობილური ტელეფონის ნომერს: 599............

გაძლევთ პირობას, ვერც სახალხო დამცველი და ვინმე ოდიოზური ტიპი საპროტესტოდ კრინტსაც ვერ დაძრავს.“

**P.P.S.** ეს ბოლო აბზაცი საგანგებოდ დავტოვე, მხოლოდ მობილურის ნომერი ამოვიღე.

მაშინ ბევრმა გამოიყენა და მილოცვის ზარებით „აიკლეს“ იუბილარი... იმდენმა ადამიანმა გამოხატა სითბო, რომ იმხელა სიყვარულის და პატივისცემის გამო ღირდა მოეგო ბოლო ბრძოლა სიცოცხლისთვის, მაგრამ...



როგორც ფრანგები ამბობენ: „სე ლა ვი!“ (ასეთია ცხოვრება!)

მშვიდობით, მეგობარო!

**ნუგზარ ფოფხაძე.**

17 მაისი, 2022 წ.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი, პუბლიცისტი, გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, ასოციაციის ერთგული მეგობარი, თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიორტი

## არმაზ სანებლიძე

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.



გარდაიცვალა

## არმაზ სანებლიძე,

ქვეყანაზე მოფიქრალი კაცი, დიდებული ჟურნალისტი, უზადო მეოჯახე და სანიმუშო მეგობარი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**ნაპოლეონ ქარქაშაძე**

ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსად. დღეს კი, კაცობრიობის თითქმის გადაგვარების ჟამს, ჭეშმარიტი გმირობაა, დარჩე ადამიანად, მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მიუძღვნა ქვეყნისა და ერის სამსახურს. ამიტომაც, ბატონ არმაზს სავსებით მიესადაგება პოეტური შედევრი — „შენ უკვდავების დიად თავმდებად, ერთი თარიღი გარგუნა ბედმა, რადგან სიკვდილი შენს დაბადებას, გვერდით დადგომას ვერ გაუბედავს“...

**რევაზ გოგოხია,**

პროფესორი


# აქციონერთა საერთო კრება

2022 წლის 15 ივნისს 16 საათზე ჩატარდება ს/ს „ელექტრონიკა-94“-ის აქციონერთა საერთო კრება.
მისამართი: კ. გამსახურდიას გამზ. 14.

დღის წესრიგი: სამეურნეო ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრიდან, 2021 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით.

მომხსენებელი: მთავარი ბუღალტერი გურამ ჩიქოვანი

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!



# „ბარძიმი შეუსმელი“

**18 მაისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ღვთისმშობლის ხატის „ბარძიმი შეუსმელი“ ხსენებას.**

ზემოთ ხსენებული ხატი მრავალ სასწაულს აღასრულებს; ერთი კაცი ლოთობის გამო სრულიად გაღატაკდა, ბოლოს ფეხებიც წაერთვა. სიზმარეულ ხილვაში მას ვინმე ბერი გამოეცხადა და უბრძანა, სერპუხოვოში წასულიყო და იქ მამათა მონასტერში ღვთისმშობლის „შეუსმელი ბარძიმის“ ხატის წინაშე პარაკლისი აღესრულებინა. მონასტერში ამ ხატის არსებობის შესახებ თურმე არც იცოდნენ, მაგრამ მონათხრობის მიხედვით მოძებნეს, პარაკლისი შეასრულეს და საბრალო სხეული ლოთობისგან განიკურნა. აღსანიშნავია ისიც, რომ მას შემდეგ ეს ხატი მრავალ ამგვარივე სასწაულს აღასრულებს...

* * *

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის დადგინებით 8-19 მაისს აღინიშნება ღვთისმშობლის ხატის დღეები.**

**გიული ლიპარტია**

# თურქმენეთის ხელისუფლება ქალებს შეზღუდვებს უწესებს

**თურქმენეთის ქალაქ მარიში ათობით წყვილი იმის გამო დააკავეს, რომ ისინი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხელჩაკიდებულები იყვნენ.** პოლიციამ დაკავებულები ტრადიციების დარღვევაში დაადანაშაულა. ისინი მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც ხელი მოაწერეს პირობას, რომ მომავალში საჯაროდ გრძნობებს აღარ გამოხატავდნენ. პოლიციელები მათ დაპირდნენ, რომ „სერიოზულ პრობლემებს“ შეუქმნიდნენ დარღვევის განმეორების შემთხვევაში. ადგილობრივების, განსაკუთრებით ქალების გარეგნობის კონტროლი თურქმენეთში გაძლიერდა ხელისუფლებაში სერდარ ბერდიმუჰამედოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. მან მარტში ფაქტობრივად უალტერნატივო საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა და თანამდებობაზე მამა — გურბანგული ბერდიმუჰამედოვი შეცვალა.



**აპრილიდან, ქვეყანაში დაწესდა აკრძალვები ისეთ კოსმეტიკურ ოპერაციებზე, როგორიცაა ტუჩებისა და მკერდის გადიდება, ან ტატუს გაკეთება. ამასთან, ქუჩებში დააკავეს და დააჯარიმეს ქალები, რომლებსაც ფრჩხილები და წამწამები დაგრძელებული ჰქონდათ. სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლებს მუქარის ქვეშ დააწერინეს განცხადებები, რომ კოსმეტიკას არ გამოიყენებდნენ.**

ათობით ბორტგამცილებელი და გამცილებელი, რომლებიც სახელმწიფო სატრანსპორტო კომპანიებში მუშაობდნენ, მკერდის იმპლანტებისა და ტუჩების გადიდების გამო გაათავისუფლეს.

გარდა ამისა, ხელისუფლებამ ქალებს ავტომობილის წინა სავარძელში დაჯდომა აუკრძალა, ასევე მძღოლებს ეკრძალებათ ავტომობილის სალონში არ დასვან ქალები, თუ ისინი არ არიან მათი ნათესავები: საგზაო პოლიცია აჩერებს ავტომანქანებს, სადაც ქალები იმყოფებიან და მძღოლთან მათი ნათესაური კავშირის დამადასტურებელ დოკუმენტებს ითხოვს. „რადიო აზატიკს“ მთავრობის წარმომადგენლებთან დაახლოებულმა წყაროებმა აცნობეს, რომ ხელისუფლება განიხილავს ქალებისთვის საზღვარგარეთ წასვლის აკრძალვის საკითხსაც. ქალებს უცხოეთში წასვლა მხოლოდ სამკურნალოდ შეეძლებათ.



# „ჩვენი საოცარი შვილი დავკარგეთ“

ამერიკელმა მომღერალმა ბრიტნი სპირსმა Instagram-ზე დაწერა, რომ ორსულობის დადგენიდან ერთი თვის შემდეგ, სპონტანური აბორტი გადაიტანა (ე.წ. მუცლის მოშლა). **„ჩვენი საოცარი შვილი დავკარგეთ“,** — დაწერა სპირსმა. 40 წლის მომღერალი, რომელსაც ორი თინეიჯერი ვაჟი ჰყავს, მესამე შვილს სემა აშრაგისგან ელოდებოდა.

**„ეს დამანგრეველი პერიოდია ნებისმიერი მშობლისთვის. ჩვენი სიყვარული ერთმანეთის მიმართ არის ჩვენი ძალა. გავაგრძელებთ ჩვენი მშვენიერი ოჯახის გაფართოების მცდელობას. მადლობლები ვართ მხარდაჭერისთვის“,** — დაწერა მომღერალმა სოციალურ ქსელში.

# მთვარიდან ჩამოტანილ მიწაში მცენარეები გაზარდეს



**მეცნიერებმა პირველად გაზარდეს მცენარე მთვარის გრუნტში. ექსპერიმენტი აშშ-ში, ფლორიდის უნივერსიტეტში ჩატარდა. მკვლევარებმა 1969-1972 წლებში, მთვარეზე მისია „აპოლონის“ დროს შეგროვილი ნიადაგი გამოიყენეს, რომელშიც კრეს-სალათის მონათესავე სახეობის თესლები დათესეს. მცენარემ ორ დღეში გაიხარა.**

ამასთან, მთვარისა და დედამიწის ნიადაგზე გაზრდილი კრესი მეექვსე დღემდე პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა. ამის შემდეგ, მთვარის მიწაში მოყვანილმა მცენარეებმა უფრო ნელა დაიწყეს განვითარება. ამის მიუხედავად, მეცნიერები ამბობენ, რომ ექსპერიმენტის შედეგს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს დიდი ნაბიჯია ადამიანის მთვარეზე ხანგრძლივი ყოფნის შესაძლებლობისთვის, შორეულ მომავალში კი დედამიწაზე საკვების დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტაში დაგვეხმარება. NASA მთვარეზე პილოტირებულ ფრენას 2025 წელს გეგმავს. წარმატების შემთხვევაში, ადამიანები მთვარეზე 1972 წლის შემდეგ პირველად აღმოჩნდებიან.

# გაფართოებული რეალობის სათვალე

**Google-ი გაფართოებული რეალობის სათვალეზე მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული დახასიათებებისაგან კომპანიამ თავი შეიკავა,**




მან AR-სათვალის ერთი საინტერესო გამოყენება — სინქრონული თარგმანი წარმოადგინა. როგორც Google-ის მიერ გავრცელებული ვიდეოდან ჩანს, მათ სათვალეს მოსაუბრე მხარეების მოსმენის საშუალება ექნება, რის მერეც ის ამ ტექსტს Google Translate-ის მეშვეობით თარგმნის და თარგმნილ ტექსტს სათვალის შუშაზე გამოსახავს.

# ამერიკამ ჰიპერბგერითი იარაღი წარმატებით გამოსცადა

**16 მაისს შეერთებული შტატების საჰაერო ძალების მეთაურობამ განაცხადა, რომ წარმატებით გამოსცადა ჰიპერბგერითი რაკეტა AGM-183A ARRW.**

გავრცელებული ცნობით, რაკეტის გამოცდა 14 მაისს კალიფორნიის შტატის სამხრეთ სანაპიროზე განხორციელდა. ჰიპერბგერითი რაკეტა სტრატეგიულმა ბომბდამშენმა Boeing B-52H Stratofortress-მა გაუშვა. რაკეტის სიჩქარე ხუთჯერ აღემატებოდა ბგერის სიჩქარეს. აშშ-ს საჰაერო ძალების შეიარაღების პროგრამის ხელმძღვანელმა ჰიტ კოლინზმა ტესტის შედეგებს „დიდი მიღწევა“ უწოდა. აპრილში CNN-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ აშშ-ის სამხედროებმა წარმატებით გამოსცადეს ჰიპერბგერითი რაკეტა მარტის შუა რიცხვებში, მაგრამ ინფორმაცია, საიდუმლოდ ინახებოდა რუსეთთან დაძაბულობის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად.



# დინოზავრის ჩონჩხი აუქციონზე გაიყიდა

**Christie's აუქციონზე დინოზავრ Deinonychus antirrhopus-ის ჩონჩხი 12 მილიონ დოლარად გაიყიდა.**

ჩონჩხს „ჰექტორი“ დაარქვეს და ის 100 მილიონი წლისაა. ის 2013 წელს, მონატანში აღმოაჩინეს და ერთ-ერთია Deinonychus antirrhopus-ის 3 სრულად შემონახული ჩონჩხისგან, რომლებიც მეცნიერებმა დღემდე აღმოაჩინეს. დანარჩენი ორი ჩონჩხი მუზეუმებში ინახება. აუქციონის ორგანიზატორები ვარაუდობდნენ, რომ ლოტი 4-6 მილიონად გაიყიდებოდა, თუმცა რეალურმა ფასმა მათ მოლოდინს გადააჭარბა.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 20 მაისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9769; ევრო - 3.1028
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6467;
100 რუბლი - 4.6696; თურქული ლირა - 0.2063;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7545;
1000 სომხური დრამი - 6.5552.

**ამინდი 18 მაისისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე +24 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +7, | დღე +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +27 |
| თბილისი: | ღამე | +11, | დღე +25 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge